აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№57 (24.937) სამშაბათი, 7 - 8 ივნისი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 23-28, მაღალ მთაში - 17-22 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 18 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 756 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ზოგან მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა.

კრიალოსა N იუსი

დღეს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ე.წ. თავისუფალი ტრიბუნა გაიმართება, რომლის ფარგლებში, ფრაქციას, პოლიტიკურ ჯგუფს უფლება აქვს, სესიის განმავლობაში ორჯერ, 30-წუთიანი გამოსვლით ისარგებლოს, ხოლო პარლამენტი ვალდებულია, მას დაუყოვნებლივ მოუსმინოს. 8 ივნისს კი პლენარულ სხდომაზე საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშს და სამოქმედო გეგმას პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი წარადგენს.

* * *

პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა გიორგი მსხილაძემ დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის თანამდებობაზე ნათია თურნავას კანდიდატურა წარუდგინა. „პირველი პრიორიტეტი არის ეროვნული ბანკის მთავარი სტრატეგიული ამოცანა - ინფლაციის მოთოკვა და შემცირება, ფინანსური მდგრადობის და სტაბილურობის შენარჩუნება, მეორე - ახალი ინოვაციები, ციფრული ტექნოლოგიების ახალი პლატფორმების, ახალი სტარტაპების დანერგვა და მესამე - კაპიტალის ბაზრის რეფორმა, რომელშიც ჩემი გამოცდილებისა და კომპეტენციის ფარგლებში ჩავერთვები“, - განაცხადა ნათია თურნავამ. კომიტეტმა მის კანდიდატურას დაუჭირა მხარი.

* * *

ევროკავშირის გაფართოებასთან მიმართებით სკეპტიკურად განწყობილ ქვეყნებთან საქართველოს ხელისუფლება აქტიურად მუშაობს, - ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა. ილია დარჩიაშვილის თქმით, პარტნიორები ორმხრივ ფორმატებში აღიარებენ საქართველოს ევროპულ პერსპექტივას. „ჩვენი ყველა პარტნიორი აღიარებს იმ შედეგებს, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ ბოლო წლების განმავლობაში ევროპული ინტეგრაციის გზაზე დადო და ეს პროცესი მომავალში გაგრძელდება“, - აღნიშნა მინისტრმა.

* * *

პარტია „ლელო საქართველოსთვის“ „რესპუბლიკური პარტიის“ ლიდერებზე - ხათუნა სამნიძესა და დავით ბერძენიშვილზე განხორციელებულ ფიზიკური და სიტყვიერი თავდასხმის ფაქტს გმობს, - აღნიშნულის თაობაზე „ლელომ“ გუშინ განცხადება გაავრცელა. „მსგავსი ფაქტები ობიექტურად უნდა იყოს გამოძიებული და დამნაშავე პირები კანონის სრული სიმკაცრით დაისაჯონ. მსგავსი ფაქტები აზარალებს ქვეყნის სტატუსს საერთაშორისო ასპარეზზე“, - აღნიშნულია განცხადებაში.

მოამზადა
ია შველიძემ

„ახლა ევროკავშირის ჯერია, ევროპამ უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება“

„ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და თავისუფალი ვაჭრობის გაფორმებით, შემდეგ უვიზო რეჟიმის მიღებით, ახლა უკვე ოფიციალური განაცხადის შეტანით, ჩვენმა მთავრობამ დაამტკიცა, რომ ვართ ერთგულნი და პირნათლად ვასრულებთ ჩვენი ხალხის დაკვეთას... ველოდებით ევროპელების ბრძნულ, სწორ და სამართლიან გადაწყვეტილებას. ჩვენ არაფერს ვითხოვთ, ვითხოვთ სწორ და სამართლიან შეფასებას და გადაწყვეტილებას... მას შემდეგ, რაც აღვადგინეთ დამოუკიდებლობა, ერთგულად მივყვებით ჩვენს ძირითად გეზსა და პოლიტიკას, რომელიც გულისხმობს, რომ საქართველო უნდა გახდეს და აუცილებლად გახდება ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი. ახლა წყნარად, მშვიდად, მტკიცედ დაველოდებით გადაწყვეტილებას. რა თქმა უნდა, ჩვენთვის არავითარი შემაფერხებელი არ იქნება, ისედაც და ასედაც გავაგრძელებთ რეფორმებს და ბოლომდე მივიყვანთ ჩვენს გასაკეთებელ საქმეს“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ გამართულ მთავრობის სხდომაზე.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, საუბარია მხოლოდ კანდიდატის სტატუსზე და ეს არ არის წევრობა. წევრობამდე გასავლელია ძალიან დიდი და რთული გზა.

„საუბარია იმაზე, რომ შესაძლოა ეს სტატუსი მივიღოთ ჩვენ, საქართველომ, უკრაინამ და მოლდოვამ. საქართველო, ბოლო 9 წელია, არის გამორჩეული რეფორმატორი და ლიდერი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის. უფრო მეტიც, გასულ წელს ჩვენ გავაფორმეთ ე.წ. მემორანდუმი, შეთანხმება და გამოიყო ქვეყნების ჯგუფი, ასოცირებული ტრიო - საქართველო-მოლდოვა-უკრაინის სახით. ტრიოს ქვეყნებს შორის საქართველო უპირობო ლიდერია ყველა მიმართულებით, ყველა პარამეტრით და რაც მთავარია, ყველა მიღწევით. ეს არ არის გაზვიადებული შეფასება, ეს არის ჩვენი ევროპელი, ამერიკელი კოლეგების და ძალიან ბევრი საერთაშორისო ავტორიტეტული ინსტიტუტის და ორგანიზაციის შეფასება, რომ საქართველო ყველა პარამეტრით წინ არის ამ ქვეყნებს შორის... ჩვენ ვაგრძელებთ რეფორმებს, რომელიც აღებული გვქონდა ვალდებულებად... ახლა ევროკავშირის ჯერია, ევროპამ უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება“, - განაცხადა პრემიერმა.

ღარიბაშვილი უკრაინის მოვლენებსაც შეეხო და აღნიშნა, რომ იქ მიმდინარე ფართომასშტაბიანი ომი, რომლის მსგავსი გამოწვევა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არ ჰქონია ევროპას, არა მარტო უკრაინას და მის სუვერენიტეტს უქმნის საფრთხეს, არამედ ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურასაც. ამ რეალობაში, ბუნებრივია, არსებობს სკეპტიციზმი ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის უკრაინასთან მიმართებაში, რადგან მათ არ სურთ იმ პრობლემების იმპორტირება, შეტანა ევროპაში, რომელიც ომის საფრთხეებს უკავშირდება. „ამ პროცესში ჩვენ, საქართველომ, შევინარჩუნეთ მშვიდობა. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ არავითარი მეორე ფრონტი არ იქნება, არც მეორე ომი იქნება საქართველოში. ჩვენ გვინდა მშვიდობა, სტაბილურობა და განვითარება, ეს არის ხალხის დაკვეთა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ყოველთვის გავატარებთ ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს და ამაზე აზრს ვერავინ შეგვაცვლევინებს“, - აღნიშნა ღარიბაშვილმა.

პრემიერმა სხდომაზე მდინარე იორდანესთან საქართველოსთვის მიწის გადაცემაზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ სამშენებლო სამუშაოები ქართული კულტურის ცენტრის კონცეფციისა და პროექტის მომზადებისთანავე დაიწყება.

„გადმოგვეცა მიწის ნაკვეთი მდინარესთან ძალიან ახლოს, იქვე, 10 მეტრში. ასე რომ, ჩვენ დავიწყებთ ახლა მუშაობას აქტიურად. კომისია გვაქვს შექმნილი, სადაც ჩართულნი იქნებიან საპატრიარქოს წარმომადგენლები. გვინდა კონცეფციაზე, პროექტირებაზე მუშაობა დასრულდეს რამდენიმე თვეში. ჩვენი დიდი სურვილია, წლის ბოლოს იქ უკვე დავიწყოთ სამუშაოები“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მოამზადა
ელენე საყვარელიძემ

აჭარიდან წარდგენილ კანონპროექტებს პარლამენტის სხდომაზე განიხილავენ 2

ეკონომიკური საქციების მთავარი მიზანი 3

«მინდა, მთელ მსოფლიოს ვესმოდე» 5

ია ხუციშვილი: ყველა ოცნება ოდესმე რეალობა გახდება 6

«ჩემეული ბათუმი თბილი, ჟუჟუნა წვიმითა და ყავის სურნელითაა გაჟღენთილი» 6

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

აჭარიდან წარდგენილ კანონპროექტებს პარლამენტის სხდომაზე განიხილავენ

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა გუშინ გამართულ სხდომაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო ინიციატივაზე იმსჯელა, რომელიც მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნასა და მართვას ეხება. ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე საქართველოს პარლამენტმა გაავრცელა

კანონპროექტები „მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კომიტეტის სხდომაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ წარადგინა და დეპუტატებს კანონპროექტების ზოგადი პრინციპების თაობაზე მიაწოდა ინფორმაცია.

დავით გაბაიძემ კომიტეტის სხდომაზე აღნიშნა, რომ კანონპროექტის მიღება განპირობებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის, მაჭახლის ხეობის ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივითა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ინფორმაციით, საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების მიზნით, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი და გაეროს განვითარების პროგრამა (GEF/-UNDP) ახორციელებს პროექტს „აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის დახვეწა“.

„პროექტის მიზანია, შეიქმნას დაცული ტერიტორიების რეგიონული კომპლექსი დასავლეთ საქართველოს მცირე კავკასიონის ქედის საყოველთაოდ მნიშვნელოვანი ზომიერად ნოტიო კოლხური ტყეების დაცვისა და გონივრულად სარგებლობის მიზნით. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, 2018 წელს მოხდა მაჭახლის ხეობაში არსებული სიტუაციის შესწავლა, მისი ანალიზი და დაცული ტერიტორიის დაარსებისათვის შესატყვისი კატეგორიის შეთავაზება. კვლევამ აჩვენა, რომ ამ კონკრეტულ ტერიტორიაზე ოპტიმალური იქნებოდა, სწორედ, დაცული ლანდშაფტის შექმნა. საკითხი შეთანხმდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან, სხვა შესაბამის სტრუქტურებთან და მოსახლეობასთან. კვლევის საფუძველზე შემუშავდა მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის კანონის პროექტი“, - განაცხადა დავით გაბაიძემ. მისივე თქმით, მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნა ხელს შეუწყობს მაჭახლის ხეობაში ბიოლოგიური მრავალფეროვნებით, კულტურით და ისტორიული თავისებურებებით გამორჩეული ტერიტორიების დაცვას, აღდგენას და გონივრულ გამოყენებას.

„ნამდვილად ძალიან კარგია, რომ ტენდენცია ჩამოყალიბდა და ეს უკვე არ არის პირველი კანონპროექტი, რომლითაც დაცული ლანდშაფტი იქმნება. გარდა იმისა, რომ დაცული ლანდშაფტის შექმნა ბიომრავალფეროვნებისთვის დაცულობის დამატებითი ბერკეტია, დაცული ლანდშაფტების ჩამოყალიბება ნამდვილად კარგი საშუალებაა ადგილობრივი მმართველობის გაუმჯობესების და ადგილობრივი მოსახლეობისთვის დამატებითი სარგებლების მოძიების კუთხით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ არცთუ ისე პატარაა ის ტერიტორია, რომელზეც დაცული ლანდშაფტი იქმნება, შესაბამისად, კომიტეტი მიესალმება აღნიშნული დაცული ლანდშაფტის შექმნას“, - განაცხადა პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე მაია ბითაძემ. მისივე თქმით, კომიტეტს ჰქონდა გარკვეული შენიშვნები, რომლებიც ავტორების მხრიდან გათვალისწინებულია. კომიტეტმა კანონპროექტების პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განსახილველად გატანას მხარი დაუჭირა.

ია ფველიძე

სტადიონი უკვე რეალობაა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

დაბა შუახევის ცენტრში, მდინარე აჭარისწყლის მარჯვენა ნაპირი ერთ დროს ქვეწარმავლებისა და ბაყაყების ბუდე, ჭაობიანი, ეკალბარდით დაფარული ტერიტორია იყო. თავდაპირველად, მდინარე კალაპოტში მოაქციეს, ტერიტორია მოაწესრიგეს და ახალგაზრდებს ფეხბურთის თამაშის საშუალება მიეცა

შუახევის ფეხბურთის სტადიონის კეთილმოწყობა დღის წესრიგში დადგა. არსებული ტერიტორია სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებდა. აღმოსავლეთ მხარეს კედლის მონგრევა გახდა საჭირო, რაც საკმაო თანხებთან იყო დაკავშირებული. შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ ქვეყანასა და რეგიონის ხელმძღვანელობის თანადგომით თანხების მობილიზება შეძლო და კონკურსში გამარჯვებულმა კომპანიამ კლდის მოჭრის სამუშაოები კონკრეტულ ვადებში დაასრულა.

შარშან შუახევში იმყოფებოდნენ საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს წარმომადგენლები. მათ ორ

პროექტზე შეაჩერეს ყურადღება. ეს კულტურის ცენტრის შენობა და სტადიონი იყო. ერთი გადაუდებელ რესტავრაციას, მეორე - რეკონსტრუქციას საჭიროებდა.

ქვეყნის პრემიერ -მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივა «ურბანული განვითარების» თაობაზე, ორივე ობიექტს სასიკეთოდ წაადგა. ამჯერად სტადიონის რეკონსტრუქციაზე გვექნება საუბარი, რისთვისაც ორი მილიონი ლარი გამოიყო. შარშან, წლის ბოლოს, კონკურსში გამარჯვებული კომპანია სტადიონის კეთილმოწყობის სამუშაოებს შეუდგა.

ამ დღეებში «აჭარის პროექტების მართვის» კომპანიის დირექტორი ბაქარ ჩიტაია, შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს კომისიის თავმჯდომარე ფრიდონ ფუტკარაძე მიმდინარე სარეკონსტრუქციო სამუშაოებს გაეცნენ.

მალე დასრულდება ნაპირსამაგრი კედლის ამოყვანა და მასზე ბურთის დამცავი ბადეების გაკეთება. მისი დასრულებისთანავე, ტრიბუნების მოწყობა და სტადიონზე მწვანე საფარის დაგება დაიწყება.

- შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის სურვილია ახალი სტადიონის გახსნა სახალხო დღესასწაულ «შუახეობის» ზეიმს დაამთხვიონ. პირობას ვიძლევით, რომ ახალ სტადიონზე ბურთს პირველად ბათუმის «დინამოს» ფეხბურთელები გააგორებენ. არსებული გარემო, სტადიონის ინფრასტრუქტურა საფუძველს შექმნის, რომ აქ საწვრთნელი შეკრებები ტიტულოვანმა გუნდებმაც გამართონ, - თქვა ბაქარ ჩიტაიამ.

მაღალმთიანი სოფლების მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით უზრუნველყოფისთვის

აჭარის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტმა „აჭარის მუნიციპალიტეტების მაღალმთიანი დასახლებების მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით უზრუნველყოფის თაობაზე“, უმაღლეს საბჭოში ელექტრონულად შემოსული მორიგი პეტიცია განიხილა

პეტიცია კანონმდებლებს კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაციკაძემ გააცნო. მისი მიღების მიზეზებზე, მიზნებსა და ამოცანებზე ისაუბრა პეტიციის ავტორმა იზა ფუტკარაძემ. როგორც მან განაცხადა, შუახევის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში ინტერნეტის უქონლობამ პანდემიის დროს დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა საჯარო სკოლების მოსწავლეები და პედაგოგები. დისტანციური სწავლების უზრუნველსაყოფად, მათ საკმაოდ შორ მანძილზე უწევდათ გადაადგილება.

პეტიციასთან დაკავშირებით, კომიტეტის წევრებს თავისი მოსაზრებები გააცნო არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის“ ხელმძღვანელმა ასლან ჭანიძემ.

კომიტეტის გადაწყვეტილებით, პეტიცია აჭარის მთავრობას გადაეგზავნება.

ანკა ჩხიკვაძე

ორი ახალი სკვერი – თამარ მეფის გამზირზე

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

თამარ მეფის გამზირზე ორი ახალი სკვერი აშენდება. ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად, სკვერების მოწყობის სამუშაოებს ადგილზე გაეცნო.

- თამარ მეფის გამზირზე ორი ახალი რეკრეაციული სივრცე გაჩნდება. ადგილობრივ მოსახლეობას დავპირდით, რომ აღნიშნულ ტერიტორიებს, რომლებიც წლების განმავლობაში მიტოვებული იყო, მოვაწესრიგებდით და ახალ, გამწვანებულ სივრცეებს შევქმნიდით. თითოეული ბათუმელისთვის ეს იქნება ძალიან ლამაზი და მიმზიდველი ადგილი. მნიშვნელოვანია, რომ სამუშაოები წინმსწრებად მიმდინარეობს. წელს ბათუმში 10-ზე მეტი სკვერის მშენებლობა დავიწყეთ. ჩვენი ამოცანაა, ბათუმის ყველა უბანს ჰქონდეს რაც შეიძლება მეტი რეკრეაციული და მწვანე ზონა, - აღნიშნა ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა საბავშვო და დასასვენებელი სივრცეები, საფეხმავლო ბილიკები, დაიგება კორდი და დეკორატიული ფილები, დამონტაჟდება ახალი განათების სისტემა.

სკვერების რეკონსტრუქცია-მშენებლობა თამარ მეფის გზატკეცილის №20-სა და რელიგიის მუზეუმთან მიმდინარეობს, რისთვისაც ქალაქის ბიუჯეტიდან 1 მილიონ ლარზე მეტი გამოიყო.

ამბები

შაბათ-კვირის ქრონიკა

ღვაწლმოსილ ექიმს - მერი რემპელს დაბადებიდან 75, ხოლო სამედიცინო სფეროში საქმიანობის 50 წელი შეუსრულდა. აჭარის ჯანდაცვის მინისტრმა ნინო

ნიჟარაძემ, პირველ მოადგილესთან, მარი ზანაქიძესთან ერთად, აჭარის რეგიონის სამედიცინო სფეროში შეტანილი წვლილისა და 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ინოვაციური სტომატოლოგიის და ზოგადი მედიცინის ცენტრ „როგოს“ ექიმი, მეან-გინეკოლოგი მერი რემპელი მადლობის სიგელით დააჯილდოვა.

* * *

ბათუმში შეჩერებული მშენებლობებით დაზარალებულ მოქალაქეებს არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები შეხვდნენ. შეხვედრაზე ისაუბრეს დაუსრულებელი და ჩაუბარებელი კორპუსების შედეგად გამოწვეულ პრობლემებზე. დეველოპერებისგან მოტყუებული მოქალაქეები ფინანსური ზარალის ანაზღაურებას და კომპანიებისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ითხოვენ. როგორც ამბობენ, გასულ წლებში საცხოვრებელი ფართი იმ პირობით შეიძინეს, რომ მშენებლობა ამ დრომდე უნდა დასრულებულიყო. თუმცა ფინანსური ანგარიშსწორების შემდეგ დეველოპერები გაუჩინარდნენ და მობინადრეები ღია ცის ქვეშ აღმოჩნდნენ. დაზარალებულების თქმით, მიტოვებული ობიექტებით ახალი ინვესტორები არ ინტერესდებიან და მობინადრეების ნაწილს ფართები დაურეგისტრირებელი აქვთ, უფრო მეტიც, მესაკუთრეების ქონება უკანონოდ არაერთხელ გაიყიდა და ამ ეტაპზე ერთ ბინას რამდენიმე მეპატრონე ჰყავს. დაზარალებულების ნაწილი დავას სასამართლოში აგრძელებს. ოჯახები დახმარებას ამჟამად ხელისუფლებას სთხოვენ.

* * *

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ერთა ლიგის 2022-23 წლების სეზონში ზედიზედ მეორე შეხვედრა მოიგო. ვილი სანიოლის გაწვრთნილმა ნაკრებმა გასვლაზე ბულგარეთის ნაკრები 2:5 დაამარცხა და მორიგი 3 ქულა მოიპოვა. ანგარიში საქართველოს ნაკრებმა გახსნა და ტაიმიც ორბურთიანი უპირატესობით მოიგო. მეორე ტაიმი უფრო საინტერესო გამოდგა. ორი ტურის შემდეგ საქართველოს ნაკრებს 6 ქულა აქვს და ჯგუფის ლიდერია. მეორე ადგილზე, 4 ქულით, ჩრდილოეთ მაკედონიაა.

* * *

თბილისის ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლეში დასრულდა საქართველოს პირველობა. ჩემპიონატი შვეიცარიული სისტემით 9 ტურად ჩატარდა და მასში საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის წარმომადგენელი მონაწილეობდა. 12 წლამდე გოგონათა შეჯიბრში სასტარტო 5 გამარჯვების შემდეგ, ჩემპიონის ტიტული კესარია მგელაძემ მოიპოვა. საერთო ჯამში, კესარიამ 9-დან 7,5 ქულა მოიპოვა.

ეკონომიკური სანქციების მთავარი მიზანი

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ფართომასშტაბიანი აგრესია სუვერენული ქვეყნის მიმართ, სანქციების ომი, გამალებული შეიარაღება და პროპაგანდისტული დისკურსი - ამ პროცესების მომსწრენი ვართ დღევანდელ მსოფლიოში, რუსეთის შეჭრა უკრაინაში სწორედ ზემოთქმულს ცხადყოფს

აშკარაა, რომ დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა რუსეთი და აშშ ერთმანეთს დააპირისპირა, ეს სანქციები კრემლს უკრაინის ომის გამო დაუწესდა და ჩნდება კითხვა - ამ სანქციებმა რა შედეგი მოგვცა? ვიდრე ამის შესახებ ვისაუბრებდეთ, მანამდე მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ ნებისმიერი ქვეყნისთვის საკმაოდ არასახარბიელოა დაწესებული სანქციები - ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სამხედრო. ბუნებრივია, სანქციები გავლენას ახდენს კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე. ბოლო 7-8 წელია, ინტენსიურად იღებენ გადაწყვეტილებებს, ეკონომიკურ სანქციებს უწესებენ რუსეთს. მიზანი ისაა, რომ რუსეთი დაუბრუნდეს საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს, მაგრამ იგი გლობალურ პოლიტიკაში ლოფეევი. მათი მიზანია, ხელი შეუწყონ რუსული სუბიექტებისთვის სანქციების თავიდან აცილებას. გარდა ამისა, სახელმწიფო დეპარტამენტი აწესებს სავიზო შეზღუდვებს რუსეთის 635 მოქალაქეზე, რომლებიც ჩართულნი არიან რუსეთსა და მის ფარგლებს გარეთ განსხვავებული აზრის ჩახშობაში. მიუხედავად ზემოთქმულისა, კარგად უნდა გავიაზროთ ის, თუ სადამდე შეუძლია ამან მიიყვანოს რუსეთი და ხომ არ გახდება დაწესებული სანქციები მის ვა-ბანკზე წასვლის პროვოცირება? ექსპერტთა თქმით, ეს შეიძლება გამოიხატოს გადამწყვეტი საომარი მოქმედებების დაწყებაში სხვადასხვა ქვეყნის მიმართ, ანუ მეორე ფრონტის გახსნაში (თუმცა თვით საბჭოთა კავშირსაც არ უომია ორ ფრონტზე), ანდა დოლარის გარეშე გააგრძელოს ცხოვრება, იფიქროს სხვადასხვა ფინანსური ალიანსის შექმნაზე. ამან შეიძლება მსოფლიო წესრიგი შეცვალოს. ეს ეკონომიკური მხარე იქნება. ასევე, შეიძლება ვა-ბანკი სამხედრო თვალსაზრისითაც გამოიხატოს - გაურიგდეს ჩრდილოეთ კორეასაც, ამ მხრივ სავარაუდოა სირიაც, ირანიც, ჩინეთიც... დღეს ვერ ვიტყვით, რომ მსოფლიო ბიპოლარულია, ასე ნამდვილად არ არის, ის მრავალპოლარულია და ყველა ცდილობს გავლენის სფეროების გაფართოებას, რასაც სხვაგვარად მსოფლიოს გეოპოლიტიკა ჰქვია. ამ მხრივ სასწორის პინა აშშ-ისკენ იხრება, სწორედ მისი დამსახურებაა, რომ რუსეთს მკაცრი სანქციები დაუწესდა.

ჯერჯერობით, აშშ ცდილობს, ხელიდან არ გაუშვას თავისი გავლენა. მსოფლიოს ის კარნახობს განვითარების ტემპს, ძირითად მიმართულებას. აშშ-მა დაითანხმა ევროპა რუსეთისთვის სანქციების დაწესებაზე. ევროკავშირი ცდილობს, ფეხი აუწყოს აშშ-ს, ჩინეთს კი მხოლოდ სავაჭრო-ეკონომიკური სტაბილურობა აძლევს ხელს, რადგან მისი საქონელბრუნვა, ეკონომიკა ამაზეა აგებული. ყველა შემთხვევაში, ჩინეთს ხელს არ აძლევს შეიარაღებული კონფლიქტი, ვინაიდან მსოფლიოს მსყიდველუნარიანობა უზრუნველყოფს სწორედ ჩინურ პროგრესს, ასე ვთქვათ, ფინანსდება ჩინური ეკონომიკა. რუსეთს კი ხელს აძლევს მისი იარაღის ექსპორტზე გატანა, რათა მის პოლიტიკას მეტად გაუწიონ ანგარიში. კრემლისთვის ხელსაყრელია დაძაბულობა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, რადგან თავისი ძალისა და რესურსების წარმატების დემონსტრირება ამ დრომდე შეძლო, თუმცა უკრაინაში კრახი განიცადა.

> ***„ექსპერტთა თქმით, ეს შეიძლება გამოიხატოს გადამწყვეტი საომარი მოქმედებების დაწყებაში სხვადასხვა ქვეყნის მიმართ, ანუ მეორე ფრონტის გახსნაში (თუმცა თვით საბჭოთა კავშირსაც არ უომია ორ ფრონტზე), ანდა დოლარის გარეშე გააგრძელოს ცხოვრება, იფიქროს სხვადასხვა ფინანსური ალიანსის შექმნაზე. ამან შეიძლება მსოფლიო წესრიგი შეცვალოს***

უკვე მეოთხე თვეა, უკრაინაში ომი მძვინვარებს. კრემლმა აქ მიზანს ვერ მიაღწია, მხოლოდ დონბასის და ლუგანსკის რეგიონების შენარჩუნებას ცდილობს. გრძელვადიან პერიოდში გამორიცხული არ არის, რომ უკრაინამ ოკუპირებული ტერიტორიები დაიბრუნოს, ყოველ შემთხვევაში, დასავლური შეიარაღება და თანადგომა იმის წინაპირობას იძლევა, რომ უკრაინამ რუსეთი დაამარცხოს. აკი თქვა დიდი ბრიტანეთის პრემიერმა, რომ ამ ომში რუსეთი დამარცხდება. მსგავსი მესიჯი ნატოს მდივანმაც გააჟღერა. ამ ფონზე ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ რუსეთმა სანქციების გამო შური მოლდოვასა და საქართველოზე იძიოს - რუსეთისგან ხომ ყველაფერია მოსალოდნელი...

ექსპერტები ხშირად კითხულობენ, რა მიზანი აქვს რუსეთს საქართველოსთან, უკრაინასა და მოლდოვასთან დაკავშირებით? როგორც პოლიტოლოგები აცხადებენ, კრემლის სტრატეგიული მიზანია ამ ქვეყნებზე კონტროლის დამყარება, რათა ისინი არ გაერთიანდნენ ნატოსა და ევროკავშირში. ახალი არაა, რომ რუსეთი აშანტაჟებს და ემუქრება ევროპას, რომ არც იფიქრონ ნატოს გაფართოებაზე, ამიტომ, მათივე თქმით, დასავლეთმა სერიოზული ნაბიჯები უნდა გადადგას რუსეთის ჰეგემონიის შესაკავებელად, ანუ ნატო, ბოლოს და ბოლოს, უნდა გაფართოვდეს აღმოსავლეთით. ამ კუთხით ფინეთმა და შვედეთმა უკვე ოფიციალური განაცხადები შეიტანეს ნატოში გაწევრიანების თაობაზე, რასაც კრემლის მუქარები მოჰყვა. მათ ხელს უშლის ზოგიერთი ქვეყნის, მაგალითად, ნატოს წევრი თურქეთის წინააღმდეგობაც. რუსეთმა ფინეთის საზღვრთან ისკანდერის ტიპის რაკეტები განალაგა. რას უნდა ნიშნავდეს კრემლის ზემოაღნიშნული ქმედება? როგორც ჩანს, იგი არა მარტო საქართველოს, მოლდოვას და უკრაინას მოიაზრებს საკუთარი გავლენის სფეროში, არამედ ფინეთსაც და, მით უმეტეს, ბალტიისპირეთის ქვეყნებსაც. ცხადია, მოსკოვს კარგად ახსოვს, რომ სწორედ ლიეტუვამ, ლატვიამ, ესტონეთმა, საქართველოსთან ერთად, განაპირობეს საბჭოეთის დაშლა, ეს ქვეყნები რომ არა, სავარაუდოდ, საბჭოთა კავშირი არ დაინგრეოდა. ყოველ შემთხვევაში, ასეთ აზრს ავითარებენ ექსპერტები.

ნაკლებად სავარაუდოა, მოსკოვმა ფინეთის ან ნატოს წევრი ქვეყნების ოკუპაცია გაბედოს და, მით უფრო, დასავლეთი შეეგუოს ამას, უკრაინის ომმა დაგვანახა, რომ დასავლეთი უკვე აღარ მოითმენს რუსეთის იმპერიის აღდგენას და გაძლიერებას. დაწესებული ეკონომიკური სანქციები სწორედ რუსეთის იმპერიალისტური გეგმის ჩაშლის მიზანს ემსახურება.

უკრაინის არმიამ რუსეთის ფლოტს 100 კმ-ით დაახევინა

ამ ინფორმაციას უკრაინის თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს. ამავე ინფორმაციის თანახმად, უკრაინელებმა რუსეთის ფლოტს სრული კონტროლი შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილზე ჩამოართვა.

„ჩვენი აქტიური ქმედებების შედეგად, რომლებიც მიმართული იყო მტრის საზღვაო ძალების დამარცხებისკენ, რუსეთის შავი ზღვის ფლოტის გემების ჯგუფს უკრაინის სანაპიროებიდან უკან დავახევინეთ. ჩვენ ჩამოვართვით რუსეთის ფლოტს სრული კონტროლი შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილზე. მოსკოვი ახლა მასზე კონტროლის აღდგენას ცდილობს“, - ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

ამირან გურიელიძე

მარიუპოლის მცველები... „საჯარო ტყვეები“

როგორც ცნობილია, რუსმა სამხედროებმა „აზოვსტალის“ ქარხნიდან ტყვეობაში 2 500-ზე მეტი უკრაინელი მებრძოლი აიყვანეს. უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, მათ გათავისუფლებაზე უკრაინის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის მთავარი სამმართველო მუშაობს.

უკრაინის პირველი პირი მიიჩნევს, რომ რუსეთს ხელს არ აძლევს მარიუპოლის მცველების წამება, იმიტომ, რომ ისინი „საჯარო ტყვეები“ გახდნენ.

ამირან გურიელიძე

უცხოეთი

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი ჯოზეფ ბორელი აცხადებს, რომ მსოფლიოში შექმნილ მარცვლეულის დეფიციტზე პასუხისმგებელია რუსეთი. „უკრაინის პორტების მუდმივი ბლოკადა ხელს უშლის ისეთი მარცვლეულის ექსპორტს, როგორიცაა სიმინდი და ხორბალი და რომლებიც ახლა მსოფლიოს ერთ-ერთ მთავარ მწარმოებელ ქვეყანაშია ჩარჩენილი“, - განაცხადა მან. გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, უკრაინამ, რუსეთმა და თურქეთმა მარცვლეულით დატვირთული უკრაინული გემების ოდესიდან გასვლის წინასწარი სქემა შეათანხმეს. უკრაინის ტერიტორიული წყლების განაღმვაზე თურქი სამხედროები იმუშავებენ, ისინი გააცილებენ გემებსაც ნეიტრალურ წყლებამდე. ნეიტრალურ წყლებში უკრაინულ გემებს რუსული გემები დახვდებიან და მათ ბოსფორამდე მიაცილებენ, რათა თავიდან აიცილონ ინციდენტები და პროვოკაციები.

* * *

თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი აცხადებს, რომ ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით მისი პოზიცია ჯერჯერობით უცვლელია, რაც ნიშ-

ნავს, რომ შვედეთისა და ფინეთის სამხედრო ალიანსში გაწევრიანება ანკარის გარეშე არ გადაწყდება. ამასთან, მისივე თქმით, დასავლეთის ქვეყნები სულ უფრო ეთანხმებიან თურქეთის იდეას გაეროს უშიშროების საბჭოს რეფორმირების აუცილებლობასთან დაკავშირებით. „გაეროს უშიშროების საბჭოს რეფორმირების წინადადება, რომელსაც რამდენიმე წელია ვაყენებთ, წარმატებულად გამოიყურება. მსოფლიოს ხუთმა წევრმა ქვეყანამ უკვე თავად დაიწყო ამაზე საუბარი“, - განაცხადა ერდოღანმა.

* * *

რუსეთი ახალ სამიზნეებზე მიიტანს იერიშს, თუ შეერთებული შტატები უკრაინისთვის დიდ რადიუსზე მოქმედი რაკეტების მიწოდებას დაიწყებს, - ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა განაცხადა. მას კონკრეტული სამიზნეები არ დაუსახელებია. პუტინის აზრით, უკრაინისთვის იარაღის მიწოდების ირგვლივ აჟიოტაჟს მხოლოდ ერთი მიზანი აქვს - შეიარაღებული კონფლიქტის მაქსიმალურად გაჭიანურება.

* * *

გუშინ დაიწყო და 17 ივნისამდე გაგრძელდება ბალტიის ზღვაში ნატოს საზღვაო წვრთნები, რომელშიც 7000-ზე მეტი მეზღვაური, საჰაერო ძალების წარმომადგენელი და 16 ქვეყნის საზღვაო ქვეითი მონაწილეობს. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში განაცხადეს, რომ შვედეთისა და ფინეთის მონაწილეობით, ნატო იყენებს შანსს, არაპროგნოზირებად სამყაროში გააძლიეროს თავისი ერთობლივი ძალების გამძლეობა ასპირანტ ერთან ერთად. „ჩვენთვის - შეერთებული შტატებისთვის და ნატოს სხვა ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანია, ამ წვრთნებში სოლიდარობა გამოვუცხადოთ როგორც ფინეთს, ასევე შვედეთს“, - აღნიშნა ამერიკელმა გენერალმა მარკ მილიმ. საზღვაო წვრთნებში 45 ხომალდი და 75 თვითმფრინავი მონაწილეობს.

მოამზადა
ია შველიძემ

„მთავარია, ამომრჩეველს გავუგოთ“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

დაცარიელდა წანკალაური, სოფლის სტატუსი დაკარგა ოღრიალმა, აღარავინ სახლობს ნაგომარის, ზეკარის, მთისუბნის ტერიტორიებზე. დაცარიელების პირასაა, ასევე, ისეთი მრავალკომლიანი სოფლები, როგორებიცაა: ტბეთი, გოგაძეები, ლაკლაკეთი, სხეფი. ზამლეთის ადმინისტრაციული ერთეულის ოთხ სოფელში, დასახლების უბნებში ცხოვრება ჩვეულ რიტმში გრძელდება. შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ზამლეთელების რჩეული ***გიორგი კეკელიძეა****. იგი „აჭარის“ სტუმარია.*

- რამდენად დასამახსოვრებელი იყო თქვენთვის 2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები?

- სპეციალობით იურისტს, მოქმედ ბანკირს („ლიბერთი ბანკის“ შუახევის ფილიალის მმართველი ვიყავი) საკმაოდ დიდი სამეგობრო და სანათესაო წრე მყავს. ამ ფაქტორებმა მომიტანა წარმატება. წინასაარჩევნო პროცესებმა ამომრჩეველთა სატკივარ-საწუხარი დამანახა. თითქმის 1500-ზე მეტ ოჯახს ვეწვიე, 30-ზე მეტი შეხვედრა გავმართე. რომ არა ასეთი მუშაობა, ხელმოცარული დავრჩებოდი. მთავარ კონკურენტს რამდენიმე ხმით ვაჯობე. ხიმშიაშვილები და კეკელიძეები შუახევში, მეტწილად - ნიგაზეულში ვსახლობთ. ორივე გვარის შთამომავლებს მეგობრული, მეზობლური, სამოყვრო ურთიერთობები გვაქვს. ქვეყანაზე მოდარდე მამულიშვილები არ გვაკლია. ხიმშიაშვილების ზეობის პერიოდში კეკელიძეებს საპასუხისმგებლო მისია ეკისრებოდათ. როცა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტსაბჭომ ზამლ-ეთის თემში მაჟორიტარად კენჭისყრა შემომთავაზა, დავთანხმდი. არც ისაა დასამალი, რომ ფურტიოში, ნენიაში „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ საკმაო მხარდამჭერები ჰყავს. „ლელოს“, „ნაციონალებს“ ფურტიოდან უკვე ჰყავთ პროპორციული სიით არჩეული საკრებულოს წევრები. მთავარია, ამომრჩეველს გავუგოთ. ფურტიოში არჩევნების წაგების მიუხედავად, ერთი წუთითაც არ მოვწყვეტივარ იმ პროექტებსა და პროგრამებს, რაც სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობაზეა ორიენტირებული. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიჟვაძის ინიციატივით, რეგიონისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს ფურტიოელებთან შეხვედრა გვქონდა. მათი წინადადებები მოვისმინეთ და რეაგირებაზე ვმუშაობთ. ჩვენგან აქტიური მხარდაჭერა ექნებათ ახალგაზრდა მორაგბეებს.

ნენიაში კეკელიძეებს სანათესაო, სამეგობრო გვყავს. სამაგალითოდ იქაური სანდრო მიქელაძისა და ნიგაზეულელი ხემიდ, ვლადიმერ კეკელიძეების, დავით ცეცხლაძის ურთიერთობაც საკმარისია. მეც წილი უნდა შევიტანო წელს ამ სოფელში დასახული პროექტების რეალიზაციაში. დღის წესრიგშია სოფელ ნენიის ცენტრის კეთილმოწყობა, ბაგაბაღის მშენებლობა, საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ხელოვნურსაფარიანი



სტადიონის გაკეთება, ცალკეულ უბნებში მისასვლელი გზების მოვლა-შენახვა, ამირან მიქელაძის საცხოვრებელ სახლთან ახალი საავტომობილო გზის გაყვანა.

- 2008 წლის აგვისტოს ომის გმირის სოფელია ბუთურაული. რა კეთდება ქვეყნის ერთიანობისა და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი იაგო მიქელაძის სახელის უკვდავსაყოფად და სოფლის მოსახლეობის საკეთილდღეოდ?

- სოფლის საჯარო სკოლა, რომელიც იაგო მიქელაძის სახელს ატარებს, თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი საგანმანათლებლო კერაა. იაგოს საფლავი კეთილმოეწყო. სოფელში, მეწყრული პროცესების განვითარების მიუხედავად, მოასფალტებული გზა შევიდა, დამეწყრილი და აქტიური მეწყრული ტერიტორიებიდან ოჯახები გავიყვანეთ და უმრავლესობამ სახელმწიფო შეღავათებით ისარგებლა. 10-მდე ოჯახი დაბა შუახევში სოციალურად დაუცველთა ბინებშია შესახლებული. ჩვენ სპეციალისტების დასკვნას ველით, რომ დაზარალებული ოჯახები სხვაგან გადავიყვანოთ. ამ ფონზე, სკოლაში მოსწავლეთა საკმაო კონტინგენტია. დაწყებულია სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა.

- 6 თვის განმავლობაში, უმრავლესობის წევრებთან ერთად, მნიშვნელოვან პროექტებს კენჭი უყარეთ. ერთსულოვნება ყოველ სხდომაზე ჩანს. ასეთი პოზიცია როდემდე გაგყვებათ?

- საარჩევნო ვადის ამოწურვამდე. ჩემი და სხვების მსგავსი იურისტები, ეკონომისტები, პედაგოგები შუახევს არ აკლია. ამ ეტაპზე, მმართველი პარტიის მხარდამჭერი ბიმიქელაძის სახელს ატარებს, თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი საგანმანათლებლო კერაა. იაგოს საფლავი კეთილმოეწყო. სოფელში, მეწყრული პროცესების განვითარების მიუხედავად, მოასფალტებული გზა შევიდა, დამეწყრილი და აქტიური მეწყრული ტერიტორიებიდან ოჯახები გავიყვანეთ და უმრავლესობამ სახელმწიფო შეღავათებით ისარგებლა. 10-მდე ოჯახი დაბა შუახევში სოციალურად დაუცველთა ბინებშია შესახლებული. ჩვენ სპეციალისტების დასკვნას ველით, რომ დაზარალებული ოჯახები სხვაგან გადავიყვანოთ. ამ ფონზე, სკოლაში მოსწავლეთა საკმაო კონტინგენტია. დაწყებულია სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა.

- 6 თვის განმავლობაში, უმრავლესობის წევრებთან ერთად, მნიშვნელოვან პროექტებს კენჭი უყარეთ. ერთსულოვნება ყოველ სხდომაზე ჩანს. ასეთი პოზიცია როდემდე გაგყვებათ?

- საარჩევნო ვადის ამოწურვამდე. ჩემი და სხვების მსგავსი იურისტები, ეკონომისტები, პედაგოგები შუახევს არ აკლია. ამ ეტაპზე, მმართველი პარტიის მხარდამჭერი ბიზნესმენი ბატონ ბაბა ბაბაიევი ბევრ ინიციატივას ამოქმედებს. ეს ადამიანი ბევრ ადგილობრივ ინიციატივას ეხმიანება. ბატონ ბაბა ბაბაიევს ბევრ ადგილობრივ ინიციატივას ეხმიანებ. ეს ადამიანი

„მინდა, მთელ მსოფლიოს ვესმოდე“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ჩვენი სტუმარია მუსიკალურ ჯგუფ „ბაბილონის“ სოლისტი ***სვეტლანა ბაღათურია*** *სასცენო ფსევდონიმით -* ***სალი ბეთლი.*** *ის არამხოლოდ ბათუმში, მთელი ქვეყნის მასშტაბით პოპულარულია. მეტიც, მის სიმღერებს უკვე საზღვარგარეთაც უსმენენ. აღსანიშნავია ისიც, რომ სალი სიმღერის ტექსტებს თავად წერს, აქვს საავტორო გადაცემაც და სულ სხვა სფეროშიც მუშაობს. საკუთარ შემოქმედებაზე და სხვა დეტალებზე თავად გვესაუბრება.*

- დავიწყოთ იმით, რომ ახალგაზრდებში პოპულარობას არ კარგავთ. როგორ ინარჩუნებთ სტაბილურობას?

- პირველ რიგში, მადლობა მოწვევისთვის. რაც შეეხება პოპულარობას, მთავარი დაუღალავი შრომა და საკუთარი საქმის სიყვარულია. ზუსტად როცა იცი, რას რის გამო აკეთებ და ყველაზე მნიშვნელოვან მონაპოვარს - დროს რაში ანაწილებ, შესაბამისად გპასუხობს გარემოც. გარემოში ვგულისხმობ მსმენელს, რომელთანაც მაკავშირებს უხილავი ძაფები მუსიკის სახით.

- საკმაოდ მცირე დროში ბევრი მუსიკალური კლიპი დაგიგროვდათ. რამდენად სასიამოვნოა თქვენთვის თავად გადაღების პროცესი?

- მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს შემოქმედებით ჯგუფს. განსაკუთრებით დიდი მადლობა მინდა ვუთხრა „ანარქია-18“-სა და ბექა სხირტლაძეს. ეს ორი ადამიანი უკვე ძალიან ბევრი წელია, ჩემ გვერდით დგას, ჩემი ყველა კლიპი მათი შეფუთულია. ზურა გოცირიძე - იგივე „ანარქია-18“ ჩემი სიმღერების მელოდიებს ქმნის, ბექა ჩემს კლიპებს ამონტაჟებს. შექმნის პროცესით ტკბობას განვიცდი, რა თქმა უნდა, მაგრამ არის ხოლმე გადაღლილობის მომენტიც, როდესაც რამდენიმე დღე ისე გადაებმება ერთმანეთს, რომ ძილს ვერ ვასწრებთ, მაგრამ მოტივაციას გვაძლევს იმის წარმოდგენა, როგორ ნაყოფს გამოიღებს ჩვენი შრომა.

- თქვენი შემოქმედებიდან რომელ კლიპს გამოარჩევთ და რითია ის თქვენთვის ღირებული?

- განსაკუთრებით მიყვარს „მზე მთვარის შუქში“. ყველა კლიპი ღირებულია ჩემთვის, მაგრამ კონკრეტულად ეს კლიპი ალბათ ერთადერთია, რომელიც არ მბეზრდება.

- ფინანსებს როგორ პოულობთ? საკუთარი ხარჯებითაც გიწევთ გადაღება?

- ბოლო პერიოდში, მსმენელის მატებასთან ერთად, გამოჩნდნენ კომპანიები, რომლებსაც სურვილი აქვთ, ჩაერთონ კლიპების გადაღების პროცესში ფინანსური კუთხით, სანაცვლოდ კი იღებენ ხარისხიან რეკლამას. არის მსმენელთა ისეთი კატეგორიაც, რომელიც როგორც კი გაიგებს, რომ კლიპის გადაღებას ვიწყებ, საკუთარი სურვილით ხდებიან ჩემი სპონსორები, რის გამოც მათი ძალიან მადლიერი ვარ.

- როგორც ვიცით, თქვენი სიმღერების ტექსტს თავად წერთ. რა შეიძლება გახდეს შთაგონების წყარო?

- დიახ, სიმღერების წერის წინა ეტაპი იყო პოეზია, პროზა... ვწერდი ლექსებს, ჩანახატებს და ეს ძალიან დამეხმარა შემდგომში საკუთარი ფიქრების სიმღერებად გადაქცევაში. შთაგონების წყარო ძირითადად საკუთარი შინაგანი სამყაროსა და გარემო ფაქტორების შეჯახებიდან გამომდინარეობს. შეიძლება ეს იყოს გამოწვეული პოზიტიური, ან ნეგატიური ფაქტორისგან, მაგრამ ჩემთვის ყველაზე დიდი და ამოუწურავი შთაგონების წყარო არის სიყვარული. სწორედ მას ახლავს ყველაფერი ის, რაც წერის მიზეზს მაძლევს.

- ხშირად სოციალურ ქსელებში თქვენს მუსიკალურ ვიდეონაწყვეტებს ვაწყდებით სახელწოდებით „ვაგმახანგა“. რას აღნიშნავს ის და რას უნდა ელოდოს თქვენი მსმენელი?

- ვაგმახანგა მეგრული სიტყვაა და ნიშნავს არ გამაგიჟო, არ გადამრიო. ჩემმა მსმენელმა უკვე იცის, რომ ამ სიმღერაზე გადავიღე კლიპი, რომელიც სულ რამდენიმე დღეში ჩაეშვება ყველა მუსიკალურ პლატფორმაზე, რაც კი არსებობს სოციალურ ქსელში. „ვაგმახანგა“ ჩემი საავტორო სიმღერაა, ჟანრი - რეპი. სრული ვერსიის მოსმენის შემდეგ მარტივი მისახვედრია, რა მიზეზით დავარქვი ეს სახელი.

- თქვენს გადაცემაზე გვიამბეთ - სად შეიძლება ვიხილოთ, როგორ შეიქმნა და რა ფორმატისაა?

- ჩემი საავტორო გადაცემა „ასწორებს თუ არა?“ იუთუბის სივრცეში ქართული მუსიკის პოპულარიზებისთვის შევქმენი. რაც შეეხება იდეას, როგორც კი მანქანა შევიძინე, იმ წამსვე დამებადა აზრი, რომ გამომეყენებინა იგი როგორც „პლატფორმა“ და სივრცე ექსკლუზიური გადაცემისთვის. აქაც, რა თქმა უნდა, ბექა და ზურა მხარს მიჭერენ, გადაცემის სტუმრებისთვის მზადდება „ბიტები“ (მელოდიები). სტუმრად ვიწვევთ ხალხისთვის საყვარელ არტისტებს თუ „იუთუბერებს“, ვუსმენთ სხვადასხვა მომღერლის შემოქმედებას და ვაფასებთ, მანქანაში კონკრეტული სიმღერა „ასწორებს“ თუ არა. დღესდღეობით საკმაოდ დიდი რეიტინგით სარგებლობს ეს გადაცემა. მისი ნახვა მარტივად შეგიძლიათ „იუთუბზე“ - ჩემს ოფიციალურ არხზე Saly Betli. ამ გადაცემის მთავარი მიზანი რაც იყო, გამოვიდა, რადგან მაყურებელმა გაიცნო უამრავი ახალი არტისტი და შეიყვარა მათი შემოქმედება. პირველი სეზონი იხურება 20 ეპიზოდით, მეორე სეზონს, სავარაუდოდ, სექტემბერში დავიწყებთ.

- სამსახურიც გაქვთ, გყავთ მეუღლე, შვილი. როგორ უთავსებთ ერთმანეთს ამდენ რამეს?

- ამ ეტაპზე, გარდა შემოქმედებითი შრომისა, მაქვს ძალიან საპასუხისმგებლო სამსახურიც, კონკრეტულად, ვარ ერთ-ერთი წამყვანი რესტორნის არტდირექტორი. რაც შეეხება დროის გადანაწილებას, რა თქმა უნდა, ოჯახს მოვაკლდი, მაგრამ ყოველთვის იმაზე ვფიქრობ, რომ ჩემივე შვილის მომავლისთვის ჩემი ნაყოფიერება და ბედნიერება ჯობია, ვიდრე სახლში ჯდომა და არაფრის კეთება.

- ახლახან თქვენს იუთუბ-არხზე, რომელზეც უამრავი გამომწერი გყავდათ, სიმღერებს კი მილიონობით ნახვა ჰქონდა, კიბერთავდასხმა განხორციელდა...

- როგორც გაირკვა, არხზე განხორციელდა „ფიშინგი“, უცხო ეროვნების ჰაკერებმა არხზე არალიცენზირებული ვიდეო გაუშვეს, რის გამოც იუთუბმა არხი წამიშალა. მალევე აღმოიფხვრა ეს პრობლემა, რადგან დამიკავშირდნენ ამ საქმეში ჩახედული და გამოცდილი ადამიანები, რის შემდეგაც ყველაფერი მოგვარდა.

- ამჟამად რას საქმიანობთ?

- როგორც ყოველთვის, ვქმნი მუსიკას, მაქვს სამსახური, სოციალურ ქსელებში ვაქტიურობ და, ყველაზე ხშირად რასაც ვაკეთებ, ეს არის გზაში ყოფნა, რადგან რამდენიმე ქალაქში მიწევს საქმიანობა.

- სამომავლოდ რას გეგმავთ?

- მინდა, როგორც ჩემი მუსიკა მოედო მსოფლიოს დიდ ქვეყნებს, ზუსტად ასე, ჩავიდე ბევრ ქვეყანაში ცოცხალი შესრულებით. მინდა, მთელ მსოფლიოს ვესმოდე.

> *- ვაგმახანგა მეგრული სიტყვაა და ნიშნავს არ გამაგიჟო, არ გადამრიო. ჩემმა მსმენელმა უკვე იცის, რომ ამ სიმღერაზე გადავიღე კლიპი, რომელიც სულ რამდენიმე დღეში ჩაეშვება ყველა მუსიკალურ პლატფორმაზე, რაც კი არსებობს სოციალურ ქსელში. „ვაგმახანგა“ ჩემი საავტორო სიმღერაა, ჟანრი - რეპი. სრული ვერსიის მოსმენის შემდეგ მარტივი მისახვედრია, რა მიზეზით დავარქვი ეს სახელი*

უკრაინა

ლუგანსკის რეგიონული სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელ სერგეი გაიდაის ინფორმაციით, უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა სევეროდონეცკის ნახევარი რუსი დამპყრობლებისგან გაათავისუფლეს. მისივე თქმით, ამჟამად სევეროდონეცკიდან მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია შეუძლებელია, ქალაქში 1500-მდე ადამიანია დარჩენილი. ლისიჩანსკიდან სულ 98 მშვიდობიანი მოქალაქის ევაკუაცია განხორციელდა.

* * *

ვამაყობ ყველათი, ვისაც შევხვდი, ვისაც ხელი ჩამოვართვი, ვისთანაც კომუნიკაცია მქონდა, ვის მიმართაც მხარდაჭერა გამოვხატე, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ზაპორიჟიეში, ლუგანსკსა და დონეცკში სამუშაო ვიზიტის შემდეგ განაცხადა. „ვიმყოფებოდი ზაპოროჟიეში, ზაპოროჟიის ოლქში. მხარდაჭერა გამოვხატე ჩვენი სამხედროების მიმართ და დავაჯილდოვე საუკეთესოები. პოზიციებზე ვიყავით. შევხვდი სამხარეო სახელმწიფო ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ადგილობრივი პოლიციისა და უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელობას, დროებით ოკუპირებული ქალაქების რამდენიმე მერს. ასევე, შევხვდი მარიუპოლის მცხოვრებლებს, რომლებმაც მოახერხეს ქალაქის დატოვება. აქ მათ დახვდათ ადამიანური და თბილი გარემო. პირობები ვნახე - დროებითი, მაგრამ არ არის ცუდი. გავიგე მათი რთული კითხვები. ვფიქრობ, მოვაგვარებთ. თითოეულ ოჯახს თავისი ისტორია აქვს. უმეტესობა მამაკაცის გარეშე იყო. ვიღაცის ქმარი წავიდა ომში, ვიღაც ტყვეობაშია, ვიღაც, სამწუხაროდ, გარდაიცვალა. ტრაგედიაა. არც სახლი, არც საყვარელი ადამიანი, მაგრამ საჭიროა ბავშვებისთვის ცხოვრება. ნამდვილი გმირები ჩვენ შორის არიან“, - აღნიშნა ზელენსკიმ.

* * *

უკრაინელმა სამხედროებმა ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, ერთ დღეში, 59 ოკუპანტი გაანადგურეს. უკრაინული მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ ოპერატიული სარდლობის, „პივდენის“ პრესსპიკერმა ვლადისლავ ნაზაროვმა განაცხადა. „ჩვენი თავდაცვის ძალების ოპერაციულ ზონაში ვითარება დაძაბულია. მტერი ცდილობს, გაიუმჯობესოს პოზიციები, მაგრამ უშედეგოდ“, - აცხადებს ნაზაროვი. მისი თქმით, გასული დღის განმავლობაში, რუსულმა ძალებმა „კა-52“ ვერტმფრენებით უკრაინის პოზიციებზე ავიაიერიში განახორციელეს, საპასუხოდ კი უკრაინულმა ავიაციამ მტრის პოზიციებს დაარტყა. „განადგურებულია 59 რაშისტი, ტანკი და 6 სხვა ჯავშანმანქანა, TOR M1-ის საზენიტო-სარაკეტო სისტემა, მრავალჯერადი სარაკეტო სისტემა, თვითმავალი ჰაუბიცა „გვოზდიკა“. ასევე, განადგურდა საბრძოლო მასალის სამი საველე საცავი ხერსონის ოლქის 3 სხვადასხვა დასახლებაში“, - განაცხადა სარდლობის წარმომადგენელმა.

* * *

რუსეთის მხრიდან გაჟღერებული მუქარის მიუხედავად, გაერთიანებული სამეფო უკრაინას შორ მანძილზე მოქმედი M270 სარაკეტო სისტემების პირველ პარტიას გაუგზავნის, - ინფორმაციას BBC-ი ავრცელებს. გამოცემის ინფორმაციით, თავდაპირველად უკრაინაში სამი M270 ტიპის მრავალჯერადი გაშვების სარაკეტო სისტემა გაიგზავნება. გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის მინისტრ ბენ უოლესის განცხადებით, მრავალჯერადი სარაკეტო სისტემები უკრაინას რუსეთისგან თავდაცვაში დაეხმარება. „როგორც რუსეთის ტაქტიკა იცვლება, ასევე უნდა შეიცვალოს ჩვენი მხარდაჭერა უკრაინის მიმართ. ეს მრავალჯერადი გაშვების სარაკეტო სისტემები საშუალებას მისცემს ჩვენს უკრაინელ მეგობრებს, უკეთესად დაიცვან თავი შორ მანძილზე მოქმედი არტილერიის გამოყენებისგან, რომელსაც პუტინის ძალები ქალაქების გასანადგურებლად იყენებენ,“, - აღნიშნა ბენ უოლესმა. უკრაინელი ჯარისკაცები სარაკეტო სისტემების გამოყენების შესწავლის მიზნით წვრთნებს გაერთიანებულ სამეფოში გაივლიან. გაერთიანებული სამეფოს მრავალჯერადი გაშვების სარაკეტო სისტემას წუთში 12 ხმელეთი-ხმელეთი ტიპის რაკეტის გასროლა შეუძლია. სისტემას მოწინააღმდეგის სამიზნეებზე 50 მილის (80 კმ) მანძილზე ზუსტი დარტყმის მიყენების შესაძლებლობა აქვს.

* * *

შვედეთი უკრაინას AG 90 ტიპის სნაიპერულ შაშხანებსა და საბრძოლო მასალებს გადასცემს, - ინფორმაციას უკრაინული მედია შვედეთის თავდაცვის სამინისტროზე დაყრდნობით ავრცელებს. მათივე ცნობით, შვედეთი ქვეყანას 5 000 ერთეულ AT4 ტიპის ტანკსაწინააღმდეგო იარაღსაც მიაწვდის. ამასთან, შვედეთი გეგმავს, ნატოს მიერ შექმნილ ფონდში უკრაინის შეიარაღებული ძალების მხარდასაჭერად 60 მილიონი შვედური კრონი შეიტანოს. „ეს მხარდაჭერა ხელს შეუწყობს უკრაინის საბრძოლო შესაძლებლობის გაძლიერებას რუსეთის აგრესიასთან ბრძოლის კრიტიკულ მომენტში“, - აცხადებენ შვედეთის თავდაცვის უწყებაში.

* * *

უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ 32 ჟურნალისტია მოკლული. ამის შესახებ კულტურისა და საინფორმაციო პოლიტიკის მინისტრმა ალექსანდრ ტკაჩენკომ „ტელეგრამის“ გვერდზე გაავრცელა. „ამ წელს ჟურნალისტების დღეს სომწარის განსაკუთრებული გემო აქვს. სრულმასშტაბიანი ომის მეოთხე თვეა და ჩვენ 32 ჟურნალისტი დავკარგეთ. ომის 8 წლის განმავლობაში ჩვენ კიდევ უფრო მეტი დავკარგეთ. მუდმივი ხსოვნა საინფორმაციო ფრონტის მოწინავე მებრძოლებს“, - განაცხადა მინისტრმა. მისივე თქმით, ჟურნალისტები, რომლებიც დღეს 24 საათის განმავლობაში მუშაობენ, გმირები არიან. „ჩვენ ვაწარმოებთ ჰიბრიდულ ომს, პირველ ასეთ მასშტაბურ ომს მსოფლიო ისტორიის განმავლობაში და თქვენი როლი დღეს შეუფასებელია, ისევე როგორც თქვენი პასუხისმგებლობა, საქმისადმი ერთგულება, შეუპოვრობა და გამბედაობა“, - განაცხადა ტკაჩენკომ.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

ტურისტების რაოდენობის ზრდამ შესაძლოა... სარესტორნო სფეროს კოლაფსი გამოიწვიოს (?!)

ეს მოსაზრება რესტორატორთა ასოციაციის ხელმძღვანელმა შოთა ბურჯანაძემ „პალიტრანიუსის“ ეთერში გამოთქვა, რის გამომწვევადაც სარესტორნო სფეროში სამუშაო ძალის დეფიციტი მიიჩნია. „კადრების დეფიციტის პრობლემა რესტორნებისთვის განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდება მაშინ, როცა ქვეყანაში ტურისტების რაოდენობა მოიმატებს. ეს ყველაფერი გარდაუვალი იქნება და ცალკეული რესტორნები ისევ ამ პრობლემის წინაშე აღმოჩნდებიან. მაშინ, როცა გჭირდება 5 თანამშრომელი, რომლებმაც უნდა უმასპინძლონ სტუმრების გარკვეულ რაოდენობას, მაგრამ მხოლოდ 3 გყავს... რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, უფრო მეტმა სტუმარმა შეიძლება რესტორნების კოლაფსი გამოიწვიოს“, - აღნიშნა შოთა ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, კადრების გადინების მთავარი მიზეზი ისაა, რომ სექტორში ხელფასების სათანადო ზრდა ვერ მოხერხდა.

„სამწუხაროდ, დღესდღეობით ქვეყანაში მაღალი ინფლაციის ფონზე ვერ მოხერხდა რესტორნების სფეროს თანამშრომლების გარკვეული ნაწილისთვის ხელფასების ზრდა. რა თქმა უნდა, ეს ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რაც მოცემულ სფეროში დასაქმებულთა ზრდას ხელს უშლის. რესტორნებში მაღალი ინფლაციის ფონზე მენიუს ფასები არ გაგვიზრდია, შესაბამისად, ჩვენი მოგებაც არ გაზრდილა, თანამშრომლებისთვის ხელფასები რომ მოგვემატებინა. ზოგიერთმა რესტორანმა ეს მოახერხა, თუმცა ხშირ შემთხვევაში, ეს ვერ მოხერხდა, რაც, რა თქმა უნდა, მთელი სექტორისთვის დამაზიანებელია“,- აცხადებს შოთა ბურჯანაძე.

ამირან გურიელიძე

ია ხუციშვილი: ყველა ოცნება ოდესმე რეალობა გახდება

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

ბალერინების ცხოვრებას და შემოქმედებას უამრავი მითი ახლავს თან. იმ ულამაზესი სანახაობის მიღმა, რომელსაც სცენაზე ვუყურებთ, დიდი შრომა და ტკივილია ჩადებული. მოცეკვავეები დიდ ყურადღებას უთმობენ სამსახიობო ხელოვნებას, რადგან გმირის ხასიათი მათ მხოლოდ მოძრაობით უნდა გადმოსცენ. ყველაფრის მიუხედავად, ბალეტი ის ხელოვნებაა, რომელიც მაყურებლის აღფრთოვანებულ ემოციებს იწვევს. ჩვენი დღევანდელი სტუმარია ა(ა)იპ ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის კლასიკური ბალეტის სკოლის მერვე კლასის მოსწავლე ***ია ხუციშვილი****, რომელიც მიწვეულია იტალიის ქალაქ რავენას საბალეტო სკოლაში სწავლის გასაგრძელებლად. იგი აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსებში, საიდანაც სხვადასხვა პრიზებით ბრუნდებოდა. 2018 წელს, „რიგის საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსი „რიგის გაზაფხული - 2018“ პირველი ადგილი დაიკავა მოდერნის საუკეთესო შესრულებისთვის და იტალიის ქალაქ ფლორენციაში თანამედროვე ცეკვების მასტერ-კლასებზე მიიწვიეს.*

ფლორენციაში მონაწილეობდა საერთაშორისო ფესტივალში „anzafirenze 2018“, სადაც კლასიკურ ცეკვაში მესამე ადგილზე გავიდა, ამასთანავე, მიიღო მიწვევა პორტუგალიასა და ფლორენციაში მასტერ-კლასებზე, ასევე, რიგის საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსზე. 2019 წელს ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის მეექვსე საერთაშორისო ქორეოგრაფიულ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა, სადაც პირველი ადგილი დაიკავა თანამედროვე ცეკვაში და მიიღო ფულადი ჯილდო ფესტივალის სპონსორისგან.

- ბალერინობა ბავშვობის ოცნება იყო თუ მოგვიანებით გაჩენილი სურვილი?

- სიმართლე გითხრათ, არც მახსოვს, როდის გამიჩნდა სურვილი. მგონია, დაბადებიდან მქონდა მიზნად დასახული ბალერინობა, მჯეროდა საკუთარი თავის და ოცნებების, რაც დღეს რეალობად მექცა.

- ფეხის წვერებზე ცეკვა ყველაზე დიდ სირთულედ ითვლება...

- როდესაც პირველად პუანტზე ვდგებით, ყურადღება უფრო დგომას და ფეხების მუშაობას ექცევა, ბევრი მუშაობის შემდეგ ვეჩვევით და გადავდივართ სხეულის მოძრაობაზე, რაც ნაზი და სასიამოვნოა, მაგრამ ადვილი - არა. სცენაზე ფარფატა და მშვიდი არის ბალერინა, მაგრამ შინაგანი განცდები, შესრულების ტექნიკა ყველაზე რთულია, რასაც მაყურებელი ვერ ამჩნევს. სწორედ ეს არის ჩვენი ხიბლი.

- საბალეტო სკოლაზე, პედაგოგზე და სწავლებაზე გვიამბეთ...

- ბათუმის საბალეტო სკოლაში რომ გადმოვედი, 9 წლის ვიყავი, ელეონორა არჩაიას კლასში მოვხვდი, რაშიც ძალიან გამიმართლა. იმ დღიდან დაიწყო ჩემი და პედაგოგის თავგადასავალი და თავდაუზოგავი შრომა, რისთვისაც ძალიან დიდ მადლობას ვუხდი მას. ჩვენი სკოლა იმით არის გამორჩეული, რომ არა მარტო კლასიკური, არამედ სახასიათო, ქართული, თანამედროვე ცეკვები ისწავლება, ასევე, მსახიობის ოსტატობა, გრიმი, ბალეტის ისტორია. სახელმწიფო გამოცდაზე ყველა საგანს ვაბარებთ და შემდეგ გვეძლევა ბალეტის მსახიობის დიპლომი. სკოლის სულისჩამდგმელია ჩვენი დირექტორი, ქალბატონი ირმა მსხალაძე, რომელიც ყოველთვის გვერდით გვიდგას და ზრუნავს სკოლაზე, მოსწავლეებზე.

- ახლა რა ეტაპია შენს კარიერაში?

- ახლა გადავდივარ ახალ, უფრო სერიოზულ და შრომატევად ეტაპზე, საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი უნდა წარმოვაჩინო და ყველაზე მნიშვნელოვანი - მიზანი ავისრულო.

- სცენაზე გამოსვლის წინ ნერვიულობთ?

- კონცერტის წინა ემოციებს ენით ვერ ღვწერ, ყველაზე ბედნიერი ნერვიულობა ჰქვია ამ ემოციას, რაც ყველაფერს მირჩევნია. ყველაზე მაგარი განცდაა, როცა იცი, ფარდის უკან უამრავი ხალხი გელოდება. ძალიან მიყვარს და დიდ პატივს ვცემ მაყურებელს, ამიტომაც მინდა, ყოველი ჩემი სპექტაკლი ერთმანეთზე უკეთესი იყოს. დარბაზში

აუცილებლად იქნება ისეთი მაყურებელი, ვინც მხოლოდ შენს სანახავად მოვიდა და ისეთიც, ვინც არ გიცნობს, პირველად გიყურებს და შენ უნდა იცეკვო ისე, რომ ორივე გაიოცო. თუ არ გექნება ემოცია და შენი პარტია დარჩება გრძნობების გარეშე, მაშინ რა აზრი აქვს ცეკვას?! მარტო ლამაზი, ზუსტი, ოღონდ ცივი მოძრაობებით ვერ ვიცეკვებ, ეს არ შემიძლია.

- რატომ აირჩიეთ თანამედროვე ბალეტი?

- აქ მეტი თავისუფლებაა, უკეთ შეგიძლია ცეკვის სახით გადმოსცე ემოცია. გრძნობების გამომხატველი ენა არის თანამედროვე ბალეტი. ცეკვის დროს ხარ ნამდვილი და იმ მხარეს ავლენ, რაც ყველამ არ იცის.

- რა ხდება მას შემდეგ, რაც იცვამ პუანტებს, სასცენო კოსტიუმს...

- ვდაგავარ კულისებში და აღელვებული ვითვლი წამებს სცენაზე გასასვლელად, საკუთარ თავს ვეუბნები: ია, შენ უნდა გაამართლო იმ ადამიანების იმედები, რომლებიც გენდობიან და პედაგოგს შრომა არ ჩაუყარო წყალში. საკუთარ თავში ძალას ვპოულობ და გავდივარ სცენაზე. აქ ყველაფერი იცვლება - ნერვიულობა რჩება კულისებში და იწყება არაამქვეყნიური შეგრძნებები, სიამოვნება საკუთარი თავით. ცეკვის დროს მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ სხეულს სრული თავისუფლება მივცე და მაქსიმალურად პლასტიკური ვიყო.

- თქვენს წარმატებებზე რომ გვესაუბროთ..

- პირველ დიდ წარმატებას რიგაში მივაღწიე, სადაც თანამედროვე ცეკვაში ავიღე პირველი ადგილი, კლასიკურში - მესამე. მივიღე ფლორენციის მოწვევა დაფინანსებით 5-დღიან მასტერკლასზე Opus ballet-ში. 13 წლის გოგოსთვის ეს იყო ძალიან დიდი წარმატება. ჩემს წინსვლაში დიდი როლი მიუძღვის დედას. იგი 6 წლიდან გვერდით მიდგას, მეხმარება, სჯერა ჩემი. ყველაზე დიდი ბედნიერებაა, როდესაც გყავს დედა, რომელიც მაქსიმუმს აკეთებს შენი ოცნების ასრულებისთვის. მაქვს ძალიან დიდი გეგმები. და მჯერა, რომ ყველა ჩემი ოცნება რეალობა გახდება.

- იტალიის ქალაქ რავენას საბალეტო სკოლაში სწავლის გასაგრძელებლად მოწვევა მიიღეთ...

- მოწვევა რომ წავიკითხე, გავშეშდი, ვერაფერს ვამბობდი, გულისცემის ხმა მესმოდა, თვალებიდან ცრემლები მომდიოდა. მაშინ გავაცნობიერე, რომ მივდივარ და ამდენი ადამიანის იმედებიც თან მიმაქვს.

- რომელ ბალეტში ისურვებდით ია ხუციშვილის ხილვას?

- იას ვიხილავდი „გედების ტბაში“, რომელსაც პატარაობიდან ვუყურებდი და ჩემს თავს აქ წარმოვიდგენდი. მინდა ჩემი ბავშვური ოცნება რეალობად ვაქციო.

- თითქმის ყველა გოგონა ოცნებობს ბალერინობაზე. რა არის ამის რეალურად განხორციელებისთვის საჭირო?

- პირველ რიგში, თავდაჯერებულობა, ეჭვი არ უნდა გქონდეს გულში, არ უნდა უსვამდე საკუთარ თავს კითხვას: გამომივა? ამავდროულად, ძალიან დიდი შრომა საჭიროა, რადგან ძალიან რთული პროფესიაა. ზოგჯერ ყველაფერი ისე არ არის, როგორც ჩვენ გვინდა, მაგრამ ხელი არ უნდა ჩავიქნიოთ, პირიქით, უნდა გავძლიერდეთ და ვიყოთ ის, ვინც რეალურად ვართ.

„ჩემეული ბათუმი თბილი, ჟუჟუნა წვიმითა და ყავის სურნელითაა გაჟღენთილი"

ნანა აბულაძე 577 20 35 90

თავდაპირველად მასწავლებლობა სურდა, რადგან მასწავლებლების ოჯახში დაიბადა და მოსწონდა ის ემოციები, რაც ამ პროფესიას ახლდა. წარმოიდგენდა კიდეც საგაკვეთილო პროცესს, იმას, მოსწავლეებთან ერთად როგორ განიხილავდა საინტერესო თემებს და მათგან როგორ იღებდა ზღვა ენერგიას. წლების მატებასთან ერთად, მრავალფეროვანი ინტერესების ფონზე, გადამწყვეტი მაინც ოჯახის აზრი აღმოჩნდა - სამედიცინოზე ჩააბარა. ამბობს, რომ არჩევანი არასდროს უნანია, მეტიც, ბედნიერია, რომ სწორედ ის სფერო აირჩია, რითაც შეუძლია ადამიანებს ჯანსაღი ღიმილი და ბედნიერი ემოციები მიანიჭოს. დღეს ჩვენი სტუმარი კლინიკა „დენტალ-არტის“ დირექტორი და მთავარი ექიმი-სტომატოლოგი ***ზოია ჩიკვაიძეა****, რომელიც როგორც კლინიკის, ასევე მისი წარმატების მთავარ მიზეზად დაუღალავ შრომას, პროფესიისადმი უდიდეს სიყვარულს, გუნდურობას, მომხმარებლის საჭიროებაზე მორგებულ მომსახურებას მიიჩნევს.*

- მოგვიყევით ბავშვობაზე, წლებზე, რომელზეც ამბობთ, რომ დღემდე გათბობთ...

- ყველაზე ფერადი და ლამაზი პერიოდია ბავშვობა, რომელიც სულ შენშია და მისი მოგონება გათბობს. გამიმართლა, რომ ისეთ ოჯახში დავიბადე, სადაც მამა ლიბერალი იყო და სრული თავისუფლება გვქონდა, თუმცა აწონასწორებდა მკაცრი და შეუვალი დედა, რომლის წყალობითაც შრომისმოყვარეობა და წესრიგი ქცევად მექცა. იქიდან გამომდინარე, რომ მასწავლებლის ოჯახში დავიბადე, მასწავლებლობანას თამაში მიყვარდა, თოჯინებს ჩავამწკრივებდი და გაკვეთილებს ვუტარებდი. თუმცა, როცა პროფესიის არჩევის დრო დადგა, ოჯახის აზრი და უფროსი დის (იგი გინეკოლოგია) პროფესია გადამწყვეტი აღმოჩნდა. შემდეგ იყო ნაცრისფერი 90-იანი წლები, სტუდენტობის ფერადი ხანა, როცა გემატება მეგობრები, რომელთანაც საერთო ინტერესები და ჰობი გაკავშირებს და, რაც მთავარია, თავისუფლების მძაფრი შეგრძნება, რომელიც ფრთებს გასხამს და გგონია, მთებს გადადგამ. ისრუტავ ყველაფერს საუკეთესოს ლექტორებისგან, ხეტიალობ თბილისის ქუჩებში, მოგზაურობ მეგობრებთან ერთად და ბედნიერი ხარ სტუდენტობით. თბილისი ის ქალაქია, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ჩემი პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებაში.

- ბათუმი თქვენთვის...

- ბათუმი ჩემთვის ხალხია - თბილი და ერთგული, სადაც ყველა გიღიმის. როცა სიყვარულით ცხოვრობ, შენთან აუცილებლად მოდის სიყვარული. ბათუმელები მე ამ სიყვარულს მჩუქნიან და მაბედნიერებენ. ჩემეული ბათუმი თბილი, ჟუჟუნა წვიმითა და ყავის სურნელითაა გაჟღენთილი.

- დღეს კლინიკის დირექტორი ხართ, რა გზა გამოიარეთ აქამდე?

- ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ბათუმს დავუბრუნდი. გამიმართლა, მოვხვდი ერთ-ერთ მთავარ სტომატოლოგიურ კლინიკაში, სადაც არაერთ სტომატოლოგიურ ნოვაციას ვეზიარე. 2006 წელს საკუთარი სტომატოლოგიური კაბინეტი გავხსენი, რომლის აწყობაში მთელი სული და გული ჩავდე. სტომატოლოგია ტექნოლოგიურად ძალიან მზარდი დარგია და რამდენიმე წელიწადში მივხვდი, რომ მჭირდებოდა მეტი ფართი, აპარატურა და, რაც მთავარია, გუნდი, რომელიც მხარს გამომაგრებდა. ასე შეიქმნა „დენტალ-არტი“, რომელიც დღეს ყველა სახის სტომატოლოგიურ სერვისს სთავაზობს მომხმარებელს.

- ადამიანი, რომლის თანადგომაც შეუფასებელია თქვენთვის...

- რაც უნდა ძლიერი იყო ადამიანი, აუცილებლად გჭირდება თანადგომა. როგორც აღვნიშნე, იღბლიანი ვარ, დავიბადე ოჯახში, რომლის პრიორიტეტიც სწავლა იყო და ცხოვრების მეგზურშიც გამიმართლა. ბათუმის კლინიკაში გავიცანი უკვე პროფესიულად შემდგარი ბიჭი, რომელსაც დავუკავშირე ბედი. რომ არა მისი პროფესიული და ოჯახური თანადგომა, ალბათ ვერაფერს მივაღწევდი. ხელს გვიწყობს ისიც, რომ ერთ სფეროში ვმუშაობთ და მისი შექმნილი სტომატოლოგიური ლაბორატორიის დამსახურებაა „დენტალ-არტის“ ღიმილი. რაც მთავარია, იტანს ჩემს ქალურ ჭირვეულობას, როცა ვაცხადებ, რომ ლაბორატორიამ ყველაზე ლამაზი კბილები უნდა გამიკეთოს ჩემი პაციენტებისთვის.

- ნდობა...

- მოიპოვო ადამიანების ნდობა და მუდმივად შეინარჩუნო ის, ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. ადამიანი განდობს ყველაზე მნიშვნელოვანს თავის ცხოვრებაში - ჯანმრთელობას. ჩემი ყოველი სამუშაო დღე საკმაოდ დაძაბულია, რასაც თამამად შემიძლია ვთქვა, პაციენტებთან ურთიერთობა მიადვილებს. ეს არის საქმე, რომელსაც ხალისითა და გართობით ვაკეთებ, თუმცა მთელ სულსა და გულს ვდებ მასში. ამ ყველაფერს ემატება ტექნოლოგიურად გამართული სამუშაო პირობები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ვცდილობთ, არ ჩამოვრჩეთ მსოფლიო მიღწევებს და კლინიკაში თითქმის ყველა ნოვაცია გვაქვს დანერგილი, განსაკუთრებით ციფრული ტექნოლოგიები.

- ღიმილის როლი....

- 21-ე საუკუნეში დიდი ყურადღება ეთმობა ესთეტიკას, სილამაზეს, ქათქათა კბილები წარმატების ერთ-ერთი გარანტიაა.

საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლი გმირი

ნანა აბულაძე 577 20 35 90

სელიმ ხიმშიაშვილის თავის მოკვეთიდან 207 წელი გავიდა, ამასთან დაკავშირებით, აჭარის მწერალთა კავშირში შეხვედრა გაიმართა, სადაც სელიმ ხიმშიაშვილის ღვაწლზე ისაუბრეს, საქართველოს და, კონკრეტულად, აჭარის წინაშე



როგორც ღონისძიების ორგანიზატორმა განაცხადა, მათი მიზანია, კიდევ ერთხელ შეახსენონ ქვეყანას და განსაკუთრებით ახალგაზრდებს, საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი გმირი, რომლის პატრიოტული სულისკვეთება და შემართება დღესაც ჰაერივით სჭირდება ჩვენს ქვეყანას.

- სელიმ ხიმშიაშვილი იყო ეროვნული გმირი, რომელმაც ცხოვრება, საკუთარი თავი გასწირა სამშობლოსათვის, საქართველოს მთლიანობისათვის, მისი დამოუკიდებლობისათვის. ის იყო მებრძოლი, მტრისადმი დაუნდობელი პიროვნება. მან მრავალი ბრძოლა გადაიტანა, რომლის შედეგად აჭარა დაუბრუნდა საქართველოს. სელიმმა დატოვა ასეთი სიტყვა: „მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, გურჯისტანი სამუდამოდ ოსმალოს არ შერჩება“... ამ ღონისძიების გზავნილი და შეხსენებაა, რომ ისტორიაში უნდა შევიდნენ ასეთი გმირები, თუნდაც ერთი გაკვეთილი დაეთმოს მათ ღვაწლსა და მოღვაწეობას. საქართველოს ისტორია მომავალ თაობას უნდა აცნობდეს სამშობლოსათვის თავგანწირულ ადამიანებს. სელიმ ხიმშიაშვილმა არანაირ ოქროზე, თანამდებობაზე არ გაცვალა სამშობლო და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლა მისი კეთილდღეობისათვის. ამ შეხვედრით გვინდა კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე გავამახვილოთ ყურადღება: სელიმ ხიმშიაშვილის ტანს უნდა გამთლიანება. მოგეხსენებათ, სოფელ ნიგაზეულშია მისი ტანი დამარხული, ხოლო თავი, 207 წელია, თურქეთში ინახება. გვინდა, საქართველოს მთავრობას შევახსენოთ, რომ მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა თავი გადმოსვენებული იქნას სამშობლოში, - განაცხადა ღონისძიების ორგანიზატორმა გურამ ხიმშიაშვილმა.

ექსტერნატის გამოცდებზე რეგისტრაცია დაიწყო

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ I-XII კლასების პროგრამის ექსტერნატის ფორმით დაძლევის მსურველთათვის რეგისტრაციისა და გამოცდების ჩატარების ვადები განსაზღვრა. მსურველები გამოცდაზე დარეგისტრირებას 2022 წლის 6 ივნისიდან 10 ივნისის ჩათვლით შეძლებენ, ხოლო გამოცდები 2022 წლის 21 ივნისიდან 1 ივლისის ჩათვლით ჩატარდება

გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს პირს იმ შემთხვევაში, თუ მისი ასაკი შეესაბამება ან აღემატება ექსტერნის წესით დასაძლევი კლასის მოსწავლეთა ასაკობრივ ჯგუფს და მას დაძლეული აქვს წინმსწრები კლასის საგანმანათლებლო პროგრამა.

ექსტერნატის ფორმით განათლების მიღებით სრულწლოვანი დაინტერესებული პირი ან არასრულწლოვანი დაინტერესებული პირის კანონიერი წარმომადგენელი, რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში, აუცილებელ დოკუმენტაციასთან ერთად, ექსტერნად რეგისტრაციის თაობაზე განცხადებას რესურსცენტრში წარადგენს შემდეგი წესის დაცვით:

ა) თუ პირი, რომელსაც სურს ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღება, სწავლობს სკოლაში, განცხადება მიიღება იმ რესურსცენტრში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარეობს შესაბამისი სკოლა;

ბ) თუ პირი არ სწავლობს სკოლაში, განცხადება მიიღება ნებისმიერ რესურსცენტრში, პირის სურვილის შესაბამისად.

გამოცდებზე რეგისტრაციის მიზნით რესურსცენტრისთვის წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა:

ა) ექსტერნატის ფორმით განათლების მიღებაზე სრულწლოვანი დაინტერესებული პირის ან არასრულწლოვანი დაინტერესებული პირის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, რომელშიც სავალდებულოა შემდეგი ინფორმაციის მითითება:

ექსტერნატის ფორმით განათლების მიღების მსურველის სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი);

ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგანი/საგნები, რომელთა ექსტერნატის ფორმით დაძლევა სურს პირს;

ენა, რომელზეც ექსტერნატის ფორმით განათლების მიღების მსურველს სურს ექსტერნატის გამოცდის ჩაბარება (ქართული, რუსული, აზერბაიჯანული, სომხური);

უცხოური ენა/ენები, რომელშიც ექსტერნატის ფორმით განათლების მიღების მსურველს უნდა ჩაუტარდეს ექსტერნატის გამოცდა, ასეთის საჭიროების შემთხვევაში;

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული არჩევითი საგანი, რომლის ჩაბარებაც სურს ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების დაძლევის მსურველს;

ბ) ექსტერნატის ფორმით განათლების მიღების მსურველის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/სემესტრის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდაზე რეგისტრაციის შემთხვევაში, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის მიერ ზოგადი განათლების იმ კლასის/სემესტრის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ათვისებას, რომელიც წინ უსწრებს ექსტერნატის ფორმით დასაძლევ კლასს/სემესტრს.

დ) იმ შემთხვევაში, თუ პირმა განათლება საზღვარგარეთ მიიღო, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც აღიარებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდაზე რეგისტრაციის შემთხვევაში, სკოლის მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ პირმა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა უნდა დაძლიოს ექსტერნატის ფორმით.

„ბორჯომის“ აქციონერი სახელმწიფო გახდება

ამის შესახებ ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომის დაწყებამდე განაცხადა.

„ეკონომიკის სამინისტრომ, ფაქტობრივად, დაასრულა მოლაპარაკებები. ერთი კვირის თავზე ჩვენ გამოვიტანთ საკითხს მთავრობის სხდომაზე და „ბორჯომის“ აქციონერები გავხდებით ჩვენ - სახელმწიფო გახდება „ბორჯომის“ თანამფლობელი“, - განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერი თანამშრომლების საკითხსაც შეეხო. მისი თქმით, პროცესში ჩართულია შრომის ინსპექცია.

„მანამდე გარკვეული სირთულეებია. იქ დასაქმებულები გამოხატავენ პროტესტს. მე დღეს მქონდა საუბარი ბატონ ზურა აზარაშვილთან. უკვე ჩართულია შრომის ინსპექცია და არცერთი ჩვენი თანამოქალაქე არ დაიჩაგრება. ეს მინდა ყველას ვუთხრა“, - აღნიშნა ღარიბაშვილმა.

ამირან გურიელიძე

გარემოს შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის

გარემოს დაცვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, გონიოს სანაპირო ზოლის დასუფთავების აქცია გაიმართა, რომელშიც უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის წევრები და სტუდენტები მონაწილეობდნენ. ინფორმაცია საკანონმდებლო ორგანომ გაავრცელა

აქციაში მმართველი გუნდის წევრები - ფრიდონ ფუტკარაძე, ტიტე აროშიძე და მარინე გვიანიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად მონაწილეობდნენ.

„მოხარული ვარ, რომ ახალგაზრდობა ჩართულია ისეთი მასშტაბური გამოწვევის დაძლევაში, როგორიცაა გლობალური დათბობა. გარემოს დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარებით გამოწვეული კასტროფების შემცირების საკითხების მოგვარებაში მათი ჩართულობა მნიშვნელოვანია“, - აღნიშნა უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ფრიდონ ფუტკარაძემ.

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ტიტე აროშიძის განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ სანაპირო ზოლის დასუფთავების აქციაში ჩართულები არიან სტუდენტები.

„ამ ახალგაზრდებთან ერთად ჩვენ უნდა ავაშენოთ უკეთესი მომავალი. მსგავსი ღონისძიებები მიზნად ისახავს ადამიანთა პასუხისმგებლობის გაცნობიერებას ბუნების მიმართ, გარემოს შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში საზოგადოების აქტიურ ჩართვას“, - განაცხადა ტიტე აროშიძემ.

„ჩვენი ვალია, ვიზრუნოთ გარემოზე, გავუფრთხილდეთ ბუნებრივ რესურსებს, ეკოლოგიურ მდგომარეობას, დავიცვათ ჰაერი და წყალი დაბინძურებისაგან, ამით ხელს შევუწყობთ გლობალური დათბობის პროცესების შეჩერებას და მომავალი თაობის უსაფრთხო პირობებში ცხოვრებას“, - აღნიშნა უმაღლესი საბჭოს წევრმა მარინე გვიანიძემ.

გარემოს დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ასევე, მოეწყო გამწვანების აქცია. ფრიდონ ფუტკარაძე, სოფლის მეურნეობის მინისტრ ზაზა შავაძესთან და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ თიკერის სატყეო მეურნეობას ეწვია. აქცია აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსა და სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ მხარდაჭერით გაიმართა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა და ახალგაზრდებმა სოფელ თიკერის სატყეო მეურნეობაში მარადმწვანე ფიჭვის ნერგები დარგეს.

გარემოს დაცვის მსოფლიო დღე ყოველი წლის 5 ივნისს აღინიშნება.

ია შველიძე

ხსოვნა

იური სიხარულიძე



აჭარის ღვაწლმოსილ მუშაკთა, პატივმიგებისა და მადლიერების საზოგადოება მწუხარებას გამოხატავს ქართველი მეცნიერის, ისტორიკოსის, მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ იური მოსეს ძე სიხარულიძის გარდაცვალების გამო.

ნაყოფიერი მეცნიერ-მკვლევარის კვლევის თემატიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აჭარის ტოპონიმიკას (ორტომეული), აბუსერისძე ტბელის ცხოვრება-შემოქმედებას და სხვა. ჩემს სტუდენტობაში (1956 წლის პირველი სექტემბერი) პირველი ლექცია მისგან მოვისმინეთ ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის პირველი კურსის ორმოცამდე სტუდენტმა. დაირეკა პირველი ზარი, შემობრძანდა ახალგაზრდა ლექტორი, სუსტი აღნაგობის პიროვნება. თბილად მოგვესალმა. - ახალგაზრდებო, - თქვა მან, - ვიდრე ლექციის თემაზე საუბარს დავიწყებდე, უნდა გითხრათ, ლექცია რომ კარგად გაიგოთ, უნდა შეგეძლოთ მოსმენა, - ხაზი გაუსვა ამ სიტყვას და განმარტა: - ეს ნიშნავს მოსმენილი ერთხანს გააჩეროთ ტვინში, იქ უნდა აადუღოთ, დაამუშავოთ და შემდეგ შეიძლება გაუშვათ მეორე ყურიდან. თუ ამას შეძლებთ, კარგად ისწავლით, თუ არადა, მოსმენა არ ივარგებს. იმედი მაქვს, ამას დაიმახსოვრებთ და გამოიყენებთ ცხოვრებაში.

შემდეგ დაიწყო შესავალი ლექცია საქართველოს ისტორიაში, ჩვენ კი, სმენად ქცეულები, წერას მოვეშვით და არცერთ სიტყვას არ ვკარგავდით. ისეთი დიდი ენთუზიაზმით და საინტერესოდ გადმოსცემდა საკითხებს, რომ წარმოსახვით საქართველოს ყველა კუთხე შემოგვატარა. ეს დღე ჩვენთვის დღემდე დაუვიწყარია. საკითხის ღრმა ცოდნით, ორატორული ხელოვნებით მოგვაჯადოვა.

ამას წინ უსწრებდა ჩემი ცხოვრების ერთი მომენტი - 1950 წლამდე ვიყავი სელიმი, გავხდი სერგო. მას შემდეგ ვცხოვრობ იმ კეთილმოწყობილ ბინაში, რომელიც ჩემი სუნთქვა და ნეტარებაა - მას ჰქვია დედასამშობლო, მშობლიური საქართველო.

დიდი მადლობა ჩვენგან და ღვთის მადლი ჰფარავდეს თქვენს სულს სამარადისო სასუფეველში, ბატონო იური. თქვენი სახელი და საქმენი განაგრძობენ სიცოცხლეს თქვენ მიერ შექმნილ ასეულობით ნაკალმევში.

სერგო დუმბაძე,
ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, ემერიტუს
პროფესორი

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 6/06/22, 21 35 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

სტუდენტებისა და სიმფონიური ორკესტრის შესანიშნავი ტანდემი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის ხელოვნების ცენტრში, სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრსა და ხელოვნების უნივერსიტეტს შორის დადებული მემორანდუმის ფარგლებში, საოპერო მუსიკის კონცერტი გაიმართა, რომელშიც ცენტრის სიმფონიური ორკესტრი (დირიჟორი - მამუკა ალაფიშვილი), ხელოვნების უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის საოპერო მიმართულების სტუდენტები და გუნდი მონაწილეობდა

საღამოზე შესრულდა ფალიაშვილის, მოცარტის, ვერდის, დონიცეტის, ბიზეს ნაწარმოებებიდან არიები და დუეტები. თითქმის ყველა მომღერალმა, ორკესტრთან ერთად, პირველად იმღერა. თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ საღამოზე შესანიშნავად წარმოჩნდნენ პერსპექტიული ახალგაზრდა საოპერო მომღერლები, მათ შორის, სალომე მახათელაშვილი, ნათია ზოიძე, ნატალია ცქვიტინიძე, ცირა ხაბაზი, დავით დიასამიძე, ირაკლი ჯინჭარაძე, გიორგი გობრონიძე, გიორგი გორჯელაძე, მათე კონჯარია, დიანა ფალავანდიშვილი, სალომე ვაშაკიძე, ანანო გოთუა, მეგი ბაჯელიძე. კონცერტზე იმღერა ასევე მოწვეულმა სოლისტმა მიხეილ გასპარიანმა.

ის, რომ სტუდენტებმა დიდი წარმატებით გაართვეს თავი ფართო აუდიტორიის წინაშე და თანაც, ორკესტრთან ერთად გამოსვლას, რა თქმა უნდა, როგორც თავად ახალგაზრდა მომღერლების, ისე მათი პედაგოგებისა და კონცერტმაისტერების დიდი შრომის შედეგია.

- მოხარული ვარ, რომ საღამომ შესანიშნავად ჩაიარა. სტუდენტებისა და ორკესტრის ტანდემი პირველად შედგა. რთული პროგრამა იყო, მართალია, რაოდენობრივად არ იყო ბევრი ნომერი, მაგრამ საოპერო სცენები, ნაწყვეტები, მოცულობით დიდი იყო. რთული ნაწარმოებები შეასრულეს სტუდენტებმა, რომლებიც დიდი გამოწვევის წინაშე იდგნენ, მაგრამ კარგად გაართვეს თავი. რა თქმა უნდა, ეს მეცადინეობისა და შრომის გარეშე არ გამოვიდოდა. აქვე მადლობა მინდა გადავუხადო ბათუმის მუსიკალური ცენტრის, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას თანადგომისთვის, - აღნიშნა ხელოვნების უნივერსიტეტის საოპერო მიმართულების ხელმძღვანელმა, მუსიკის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამაზ ცერიაშვილმა.

- სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი დღე იყო. ვფიქრობ, უკვე გამოიკვეთნენ ახალი ვარსკვლავები. გაოცებული ვარ ირაკლი ჯინჭარაძით, სალომე მახათელაშვილით, ნატო ცქვიტინიძით, ცირა ხაბაზით, სხვებით.... ეს არის ქალაქის მონაპოვარი. ძალიან ლამაზი ხმები შეემატება მალე ქალაქს. მადლობა ბატონ თამაზ ცერიაშვილს, რომ აჭარაში ამდენი ნიჭიერი ბავშვი შეკრიბა და წარმოაჩინა, მადლობა ორკესტრს ახალგაზრდა მომღერლებისთვის ამ ფუფუნების შექმნისთვის, - გვითხრა მუსიკალური ცენტრის დირექტორის მოადგილე ქეთევან მანელიშვილმა.

საინტერესო იყო ორკესტრთან მუშაობის პროცესი. ძალიან კმაყოფილი ვარ დღევანდელი გამოსვლით, - თქვა 18 წლის პირველკურსელმა ირაკლი ჯინჭარაძემ, რომელიც ვოკალს ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის მეშვიდე კლასიდან თამაზ ცერიაშვილთან სწავლობს.

- კარგია, რომ საოპერო მიმართულების სტუდენტებს ორკესტრთან ერთად გამოსვლის საშუალება მიეცათ - სხვანაირად ვერ გაიზრდებიან. მადლობა მამუკა ალაფიშვილს ამ ახალგაზრდების ხელშეწყობისთვის, ძალიან ნიჭიერი მუსიკოსია. კარგი, პერსპექტიული სტუდენტები წარმოჩნდნენ, ამით მათი მოტივაციაც იზრდება, - თქვა მუსიკალური ცენტრის საოპეროს დასის სამხატვრო ხელმძღვანელმა და ვოკალის პედაგოგმა მარიამ ჯახუტაშვილმა.

- დღეს არაჩვეულებრივ ხმებს მოვუსმინეთ. სიმფონიურ ორკესტრს ყოველთვის აქვს საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის ვალდებულება. თუ გვინდა პერსპექტიული სტუდენტების წარმოჩენა, მათ მოტივაციაც უნდა მივცეთ, რომ წელიწადში ერთხელ მაინც, ორკეტრთან ერთად გამოვიდნენ. ჩვენი სიმფონიური ორკესტრი, მუსიკალური ცენტრი მივცემთ მათ ამ საშუალებას. ეს სტუდენტების წინსვლას აუცილებლად შეუწყობს ხელს, - თქვა მაესტრო დავით მუქერიამ.

- პირველად ვიმღერე ორკესტრთან ერთად. დებიუტი იყო, ამასთან, ძალიან ამაღელვებელი და ბედნიერი დღე. ვიმედოვნებ, რომ ამის საშუალება კიდევ მოგვეცემა, - აღნიშნა მომღერალმა სალომე მახათელაშვილმა.

- პანდემიის შემდეგ, როგორც იქნა, შესაძლებელი გახდა ასეთი საღამოს ჩატარება. გვიხარია, რომ ასეთი მაღალი ხარისხის გამოვიდა, არაჩვეულებრივი საოპერო სკოლაა ბათუმში. ვამაყობთ ჩვენი პედაგოგებით, მაესტროებით - შესანიშნავი თამაზ ცერიაშვილი, ნოდარ ვარშანიძე, მარიამ ჯახუტაშვილი და ახალგაზრდები, რომლებც მათ გვერდით უდგანან, მათ შორის, მარიამ ფირცხალაიშვილი, სხვები... ყველას დიდი მადლობა შესანიშნავი საღამოსთვის, - გვითხრა ხელოვნების უნივერსიტეტის რექტორმა მაია ჭიჭილეიშვილმა.

კონცერტის დირიჟორი გახლდათ მამუკა ალაფიშვილი, კონცერტმაისტერები - მარინა ქიქავა, რუსუდან კვახაძე, ეკატერინე სოსელია, ქორმაისტერი - ლელა დოლიძე, პედაგოგები - თამაზ ცერიაშვილი, მამუკა ალაფიშვილი.

პოეტის უკვდავსაყოფად

ოთარ ციცარიძე 599 85 21 14

აჭარის მთიანეთში მომუშავე ახალბედა პოეტი, 21 წიგნის ავტორი ზურაბ ზოიძე სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული მშობლიური სოფლის სკოლასთან. აქ მიიღო პირველდაწყებითი განათლება. წლების განმავლობაში აქვე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობდა. იყო თედო სახოკიას და ვაჟა-ფშაველას პრემიების ლაურეატი, მიღებული ჰქონდა სამთავრობო ჯილდოები.

ზურაბ ზოიძე წუთისოფლიდან ნაადრევად წავიდა. სიცოცხლის ბოლო წლებში შუახევის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობდა. საზოგადოება მის უანგარო შრომას დადებითად აფასებდა.

პოეტის, ღირსეული კოლეგისა და თანასოფლელის სახელის უკვდავსაყოფად, ახალდაბის საჯარო სკოლის პედაგოგებმა, სამეურვეო საბჭოს წევრებმა, მოსახლეობის წარმომადგენლებმა პეტიციით მიმართეს შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალდაბის საჯარო სკოლისთვის ზურაბ ზოიძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით. ამის საპასუხოდ, საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის საკითხთა კომისიამ გასვლითი სხდომა გამართა სოფელ ახალდაბაში. კომისიის თავმჯდომარე ფატი ჭაღალიძემ, კომისიის წევრებმა ემზარ აბაშიძემ, მალხაზ ტაკიძემ, ახალდაბის საჯარო სკოლის დირექტორმა თემურ დავითაძემ, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე მალვინა ფუტკარაძემ, სამეურვეო საბჭოს წევრებმა თამარ ზოიძემ, მანანა თავდგირიძემ პეტიციის თაობაზე ისაუბრეს. ამ პროექტზე შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე იმსჯელებენ და საქმეში კომპეტენტურ ორგანოებს ჩართავენ.

ლაშა ტალახაძე ევროპის ექვსგზის ჩემპიონია

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების პერიოდში მიღებული უმძიმესი ტრავმის მიუხედავად, ქართველმა სპორტსმენმა, მსოფლიოს უძლიერესმა ძალოსანმა ლაშა ტალახაძემ ევროპის ჩემპიონატზე სამი ოქროს მედლის მოპოვება შეძლო და ზედიზედ მეექვსედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული.

ოლიმპიური თამაშების ორგზისა და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ატაცში სამივე ცდა გამოიყენა (208, 212 და 217კგ) და სომეხ ვარაზდატ ლალაიანს 6 კილოგრამით გაუსწრო. აკვრაში - 245 კილოგრამით გაინაღდა ჩემპიონის ტიტული, თანამედროვე ძალოსნობის ბრწყინვალე წარმომადგენელმა ორჭიდში 462 კილოგრამი მოაგროვა და თავის უახლოეს მეტოქეს - სომეხ ლალაიანს თერთმეტი კილოგრამით აჯობა.

რაც შეეხება საქართველოს სხვა წარმომადგენლებს - ანასტასია გოტფრიდმა (87 კგ) ატაცში ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა, აკვრაში მეოთხე ადგილზე გავიდა, მაგრამ ორჭიდის ჯამში ბრინჯაო მოიპოვა.

გიორგი ჩხაიძემ სამი ვერცხლის მედალი დაისაკუთრა 109 კილოგრამ წონით კატეგორიაში, დიდებში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ეს მისთვის პირველი მედლებია.

რეზი დავითაძე ორჭიდის ჯამში 89 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა.

73 კილოგრამ წონით კატეგორიაში კახი ასანიძემ ორი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ატაცში კი საქართველოს შარშანდელი რეკორდი ორი კილოგრამით გააუმჯობესა.

სარაგბო კლუბი „ბათუმი“ საქართველოს ჩემპიონია

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

დიდი ათის თბილისში გამართულ ფინალს „დინამო არენამ“ უმასპინძლა. ერთმანეთს ბათუმელები და ბოლნისელები შეხვდნენ. აქამდე მათ ერთმანეთთან სამ-სამი მოგება ჰქონდათ დაფიქსირებული. მათი შეხვედრა ყოველთვის საკმაოდ დაძაბულად მიმდინარეობს და ყველამ იცოდა, რომ ფინალი არ იქნებოდა მშვიდი. ბათუმელ მორაგბეებს რამდენიმე ტრავმირებული მოთამაშეც ჰყავდათ, თუმცა წინასაფინალო შეკრება კარგად გაიარეს

რა თქმა უნდა, ამ მნიშვნელოვანი მატჩისთვის ბოლნისელებიც ემზადებოდნენ. ბათუმის სტადიონთან შეკრებილი გულშემატკივრების თქმით, რომლებიც მონიტორზე ადევნებდნენ თვალს მატჩის მსვლელობას, ეს ბათუმელი მორაგბეების დღე იყო და შეხვედრა მხოლოდ მოგებით უნდა დასრულებულიყო.

ბათუმელებმა ბოლნისის „ყოჩები“ 23:14 დაამარცხეს და საქართველოს ჩემპიონის ტიტულს დაეუფლნენ. ბათუმელთა კაპიტანი ბექა ურჯუკაშვილი თავიდანვე დამაჯერებლად ამბობდა, რომ გუნდი ფინალისთვის სათანადოდ მოემზადა და როგორც მისი დასრულებისას აღნიშნა, არ იყო ადვილი თამაში, რადგანაც ბოლნისი მათთვის ყოველთვის „უხერხული“ მეტოქეა. ერთადერთი წაგებული თამაში ამ სეზონში სწორედ ამ გუნდთან ჰქონდათ ბათუმელებს, მაგრამ შრომა დაუფასდათ და საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვეს.



ვულოცავთ ჩვენს გუნდს ჩემპიონობას და ახალ წარმატებებს ვუსურვებთ!